№ 27
შაბათი 2 თებერვალი 1902 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.
„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877–1902

ივერია

№ 27
შაბათი 2 თებერვალი 1902 წ.
რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხეზედ—5 კაპ.

ექვთიმე ხელაძის სტამბის „ტელეფონი" № 838

ტფილისი
ბიბლიოთეკა

თებრონია ნიკოლოზის ასული ქუჩუკაშვილი შვილითურთ აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 3 თებერვალს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი მასწავლებელ-ქალის

თამარა გიორგის ასულის

ქუჩუკაშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება $9^1/_2$ ს. პანაშვიდი 12 ს. (2—6.—1).

კვირას, 3 თებერვალს, ქუთაისის საკათედრო ტაძარში იმერეთის ეპისკოპოზის ლეონიდის მიერ გარდახდილ იქმნება წლიური პანაშვიდი იურიევის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის V კურსის სტუდენტისა

ვენედიკტე დავითის ძის

გიორგობიანის

სულის მოსახსენებლად. ძმა განსვენებულისა, **ვლასი გიორგობიანი**, უმორჩილესად სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ პანაშვიდზე. (2—279—1)

---

1 თებერვლიდან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია"

ღირს **ცხრა მანეთი და ათი შაური** (9 მ. და 50 კ.)
ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის" რედაქცია (ნიკოლოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა)
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ. ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება ქუთაისსა და ხონში ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში.

საფოსტო ადრესი: **Тифлисъ, Редакція „Иверія"**. ტელეფონი № 227.

იაფ-ფასიანი წარმოდგენა

ქართული თეატრი
შაბათს, 2 თებერვალს, 1902 წ.
ქართულის დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება
დაკლებულის ფასებით

ნ. ვ. გოგოლის სახსოვრად:

გ. აბაშიძისა და სხვ. მონაწილეობით:

I

რევიზორი

კომედ. 5 მოქმედ. გოგოლისა, თარგ. ალ. ჭიჭინაძისა.
აპოთეოზში ცხოველ სურათებში.

მონაწილეობას იღებენ: ქალბატონნი გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, მდივანი, კუნდელი, მალხაზიშვილი, სარიძე და სხვ. ბატონნი: აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანოვი, იმედაშვილი, სარჯველაძე.

დასაწყისი 8 საათზედ.
ფასები დაკლებულია
რეჟისორი ვ. გუნია.

მზადდება „ავადმყოფი ხალხი", „პედაგოგები"

იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი

ექიმი

სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 ს. აქვს შესახვევი მასალა. ავჭალის ქუჩა, № 85.

(142—242—24).

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საქიმო ქიმიურ მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ.

ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

(წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. საკოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი: 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ყელთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშნით.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოთი:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვინერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—$7^1/_2$ ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაურია, დარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана
Тифлисъ, против. памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ. გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.

ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა 9—10 ს.

გ. გ. მალალაშვილი. შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი. კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12ს.

დ. ა. გედევანიშვილი. ნერვებისა და შინაგანი. 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი. დედათა სნეულბანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

სტ. ა. ვოინო. ხირურგია. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი. სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ა. გ. მალალაშვილი.—შინაგან და ბავშვებისა. 5—6 საათ.

ვ. ს. დავიდოვი—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა. 7—8 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მალალაშვილი.—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

განცხადება

გამგეობა ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ ხსენებულ ბანკის წესდების მე-14 §-ის ძალით, ამა 1902 წლის 15 მარტს, შუადღის 12 საათზედ, ბანკის სადგომში, ქ. ტფილისს, ფრეილინის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სახლში, **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც უნდა გაიყიდოს უძრავი ქონება მირ-ახმედ-ხან ტალიშხანოვისა, ყოფილი ასტარინის მაღალი და სხვა მამულები ამ ბანკიდგან მიღებულ სესხის წესდების მე-12, 17, 27 და 28 §§-ით დაწესებულ გადასახადთა შეუტანელობის გამო.

ეს მამული ბაქოს გუბერნიაშია, ქ. ლენქორანსა და[illegible]იმის მაზრაში, იმ საზღვრებ შორის, რომელიც დაწვრილებით აღწერილია ბაქოს ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის 1899 წლის 3 აპრილის № 965 რეესტრით, გირავნობის მოწმობაში და შესდგება სახნავ, სათიბ, სანახირო და საძოვარ მიწებისაგან, ბრინჯის საყანეებისა, ბაღებისა, ტყეებისა, თევზიან ტბებისა და წყლებისაგან, სამოსახლო-კარო ადგილებისაგან, საცხოვრებელ და სამეურნეო შენობათაგან ქალ. ლენქორანში და სხვაგან. მიწა მთელს მამულში, უდავო და ნაწილი სადავო, გირავნობის მოწმობით 182,574 დესეტინა 1580 ოთხ-კუთხი საჟენია, მეტი ან ნაკლები, რამდენიც აღმოჩნდება; ბანკის დაფასების სიით უდავო მიწა მამულში სულ 60,603 დესეტინა 950 ოთხ-კუთხი საჟენია.

ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-17 §-ის თანახმად, დაიწყობა იმ თანხიდგან, რაც პირვანდელ ვალისა 1902 წლის 1 იანვრისათვის დარჩა, ე. ი. 595,239 მან. 35 კაპეიკიდგან; მასვე მიემატება დარჩენილი გადასახადი ბანკის სასარგებლოდ 1901 წლის 31 დეკემბრამდე—38,063 მან. 64 კაპ., სულ 633,302 მან. 99 კაპ.; ამ თანხას მიემატება აგრეთვე, თუ რამ მამულზედ დარჩენილი ფული იქმნება სახაზინო და საქალაქო გადასახადებისა.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, იმან უნდა წარადგინოს ნაღდ ფულად გირაო, რომელიც უნდა უდრიდეს ბანკში შესატან დარჩენილ გადასახადებს, აგრეთვე იმ დარჩენილ სახაზინო, საქალაქო და საერობო გადასახადებს, რომლებიც ვაჭრობის დღისთვის მამულზედ აღმოჩნდება.

ვაჭრობის დამთავრების შემდეგ მსყიდველი ვალდებულია წარადგინოს: ნასყიდობის გარდასახადი—7 დღის განმავლობაში და ის ფული, რომელსაც ვაჭრობაში წაუმატებს—14 დღის განმავლობაში ვაჭრობის დამთავრების დღიდგან.

ზემოდ აღნიშნული თავნი ვალი მსყიდველს შეუძლიან თავის სახელობაზედ გადაიტანოს ისე, რომ წინანდელ მფლობელის ყოველივე ვალდებულებანი თვითონ იკისროს.

ბანკის წესდების მე-15 §-ის თანახმად, პატრონს შეუძლიან დარჩენილი გარდასახადი შემოიტანოს ვაჭრობის დღემდე და მით განათავისუფლოს მამული გაყიდვისაგან.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, შეუძლიან გასსყიდ მამულების შესახები საქმენი განიხილოს ბანკის კანცელარიაში ყოველდღე, კვირა-უქმეებს გარდა.

თუ ვინიცობაა პირველ ვაჭრობის დროს, აღნიშნულ რიცხვს, მამული ვერ გაიყიდა, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-20 §-ის თანახმად, მოხდება 1902 წლის 30 მარტს.

(1—6.—1)

სოფელი და სოფლელნი.

წერილი პირველი.

ჭირში გატეხა არ ვარგა,
თუ კაცი გონიერია:
წავა და ყველგან დარჩება,—
სოფელი ღონიერია.

სახალხო ლექსი.

მე ვგონებ, ყოველი ქართველი მოღვაწე დიდის თანაგრძნობით უნდა მიეგებოს იმ აზრს და მიმართულებას, რომელიც გამოაცხადა თავის პროგრამის დედაბოძად გადიდებულმა „ივერიამ". მართლა, რომ ჩვენ გვეჭირვება „ძმობა, თანასწორობა„. „ივერია" გვაიმედებს, წოდებრივს წყობილებას მხარს არ დავუჭერ, რადგან „ყველა ქართველი კაცად და ადამიანად მიგვაჩნია და ამიტომ უარ-ვყოფთ კლასებრივს ანუ დასებრივს მოძღვრებასაო," რადგან ამ გვარი მიმართულება „ეროვნულს ერთიანობას არღვევს, შუღლსა და ქიშპს ჰბადავს ქართველთა შორის და ეს ხომ დიდად მავნებელიაო." დარწმუნებული ვარ ამ დედააზრის წინააღმდეგი არავინ იქნება ჩვენში, ვისაც-კი გული შესტკივა ჩვენის ერისათვის და ვისაც თავის ბედნიერებად მხოლოდ სამშობლოს ბედნიერება მიაჩნია. ყველას უნდა აშინებდეს მხოლოდ ის რომ ეს წმინდა სიტყვები „ძმობა, ერთობა", ლიტონ სიტყვებად არ გადიქცეს და ჩვენი ცხოვრება უწინდებურად სხვა დედა ღერძზედ არ დატრიალდეს. ამ სიტყვების აღიარება არ გვიშველის, თუ არ გვეცოდინება, რა ნაირად და რა ზომით შევითვისოთ, შევისისხლ-ხორცოთ ეს არა ახალი, მაგრამ უსაჭიროესი ჩვენის ბედნიერებისათვის მცნება. საგანი ყველას ერთი გვაქვს, მაგრამ მისაღწევი გზა-კი არსაიდგან სჩანს, და ამიტომ ეს წმინდა სიტყვები საქმით და ცხოვრებით უნდა შევითვისოთ და ამის მისაღწევად ყველამ უნდა ვიზრუნოთ, რომ შესაფერი გზა გავიკვლიოთ და, თუ ჯერ შარა გზა არ გვიჩანს, ბილიკი მაინც მოვძებნოთ.

ბატონი არჩილ ჯორჯაძე თავის მხრივ სცდილობს („ცნობის ფურცელი" №№ 1691—1693) გვიჩვენოს ნამდვილი გზა და ამით გვიქადის დაამყაროს ჩვენში ისეთი წეს-წყობილება, რომელიც ჩვენთვის სანატრელ „ეროვნულ მთლიანობას" არ დაარღვევს. რომ ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე სრულის გულ-წრფელობით ჰქადაგებს თავისს აზრს და გამსჭვალულია კეთილის სურვილით, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. აგრეთვე ეჭვს გარეშეა, ისიც, რომ იგი ჰზრუნავს ეროვნებისათვის და უფრთხის ყოველსავე მიმართულებას, რომელიც-კი „ეროვნობის უარყოფამდე მიგვიყვანს". მაშ რაშია განსხვავება „ივერიის" (Plebs-ისა) და ბ-ნ არჩილ ჯორჯაძის დედა-აზრს შუა. ჩემის ფიქრით, ამათი აზრები დედით ერთნი არიან, მაგრამ სხვა-და-სხვა სიყვარულით და ალერსით ექცევიან, ცხოვრების სხვა-და-სხვა გზას უჩვენებენ სამშობლოს საბედნიეროდ და სადღეგრძელოდ.

ბოდიშს მოვიხდი ბ-ნ არჩილ ჯორჯაძის წინაშე, მაგრამ თუ ნებას მომცემს, ძმურად მოვახსენებ იმას, რაც იმისს დედა-აზრებში შეცდომას ვხედავ და რაც ჩვენის ერისათვის მავნებლად მიმაჩნია. მე მგონია, რომ დიდის მწუხარებით აღიარებს არჩილ ჯორჯაძე თავისს მოძღვრებას; თუ არა ვცდები, ის იმ აზრისაა, რომ კლასთა და წოდებათა შორის ჩვენში კავშირი შეუძლებელია (მაშასადამე, რის ძმობა და ერთობა), რადგან „ეკონომიურ წინააღმდეგობის დაფარვა ჩვენს დროში შეუძლებელია, იგი აშკარა შეიქმნა ხალხისათვისაო".

არ ვიცი, როგორ და რა ნაირად შეიტყო ბ-ნმა არჩილ ჯორჯაძემ ხალხის აზრი, სად და რა ღონისძიებით გამოსთქვა ხალხმა ის, რასაც მათ მაგიერ გვატყობინებს ჩვენ ბ-ნი ა. ჯ. თითონ ხალხმა რა საშუალებით და რა ღონისძიებით შეიგნო წოდებათა ეკონომიური წინააღმდეგობა, ე. ი. თავად-აზნაურთა გამდიდრება გამოიწვევს გლეხ-კაცობის გაღარიბებას, ანუ გლეხ-კაცთა გაღონივრებას ესაჭიროება თავად-აზნაურთა დაქვეითება და გაღატაკება. მე ვგონებ აქ ლაპარაკია საზოგდო სოციალურ მოვლენაზედ და არა კერძო ფაქტებზე. შესაძლოა, რომ გლეხმა იოროთემ იცოდეს და შეგნებული ჰქონდეს, რომ თავ. რევაზს მასზედ მეტი შეძლება აქვს, და დიდად საეჭვო-კი არის, რომ იოროთეს შეგნებული ჰქონდეს, რა წეს-წყობილებამ გამოიწვია ესეთი განაწილება ქონებისა, მეტადრე, თუ თ. რევაზი პატიოსანი კაცია და იოროთეს გულ-კეთილად ექცევა. ნურას უკაცრავად, თუ ეჭვს შევიტან და მოვახსენებ ბ-ნ ა. ჯ—ძეს: არა თუ ხალხმა, ე. ი. გლეხ-კაცობამ, არამედ ჩვენმა დაწინაურებულმა საზოგადოებამაც-კი ჯერ არ იცის, რომელი წოდება უფრო მდიდარია ჩვენში და ეკონომიურად ვინ უფრო დამონავებულია და რა არის ამის ნამდვილი მიზეზი. ყველგან და ყოველთვის ხალხმა იცის ის, რასაც უქადაგებს განათლებული ნაწილი ერისა; თითონ ხალხი ვერ შეიგნებს რთულს საგნებს, რომელთაც დიდი მეცნიერული გამოკვლევა ეჭირვება და რომელიც შეეხება ხოლმე ხშირად განკერძოებულ საგნებს. ამიტომ ძალიან ფრთხილად უნდა ეკიდებოდეს ყოველი პუბლიცისტი თავისს აზრს, რადგან ცრუ-რწმენას მოწინავე საზოგადოებაში ისეთი ცუდი შედეგი არ მოსდევს, როგორიც შეუძლიან მოუტანოს ხალხს, მეტადრე თუ საგანი ეხება ეკონომიურ ვითარებას.

განა შეიძლება რომელისამე სერიოზულ ბაასის დროს გამოტყორცნა ისეთის საბუთისა, რომელიც საბუთია და ფაქტია მხოლოდ იმისთვის, ვინც გატაცებულია თავისის დოქტრინებით და ამ კერპს ათაყვანებს ყველაფერს?!. ბ-ნი ა. ჯორჯაძე ბრძანებს:

„გუშინდელი მებატონე დაქვეითდა. მის ადგილზე აქა-იქ გუშინდელი ყმა ატოლდა. ხოლო რადგანაც საერთოდ აღებულ თავად-აზნაურობას დღესაც მაინც მეტი ქონება აქვს, ვიდრე გლეხკაცობას, ამისათვის სიტყვა „წოდება" ჯერ კიდევ არ დაძველებულა, რადგან ყოველი სხვა უპირატესობა (თუნდაც ის, რომ აზნაურობას მეტი უფლებანი აქვს მინიჭებული მოქალაქობრივ ცხოვრებაში) ამ ქონებრივ უპირატესობაზეა აშენებული"

რომელი სტატისტიკით ამტკიცებს ბ-ნი ა. ჯ. რომ „საერთოდ აღებულ თავად-აზნაურობას დღესაც მაინც მეტი ქონება აქვს, ვიდრე გლეხ-კაცობას და მხოლოდ ამიტომ სიტყვა „წოდება" ჯერ კიდევ არ დაძველებულა...

ამისთანა საბუთის ხმარება უადგილოა, რადგან ამით არა დამტკიცდება-რა, თუ რასაკვირველია ციფრების მნიშვნელობას ისე არ განვმარტავთ და ისე უწყალოდ არ მოვექცევით, როგორც ექცევა ბ-ნი ა. ჯ. ნუ-თუ ქონებას მარტო მიწის რაოდენობა შეადგენს და სხვა არავითარი ნივთიერი ძალღონე მხედველობაში მისაღები არ არის? თუ თავად-აზნაურთა და გლეხ-კაცთა ქონების დასაფასებლად და შესადარებლად მარტო მიწა ვიგულისხმეთ, მაშინაც-კი მიწის რაოდენობით ვერაფერს ვერ დავამტკიცებთ, და ვერ გამოვიკვლევთ, თუ ისიც არ გვეცოდინება, რა თვისებისა და ღირსების მიწა უჭირავთ ან ერთსა და ან მეორეს. ციფრებს მერე ჩვენც ავალაპარაკებთ და ეხლა-კი არ შემიძლიან არ ვუსაყვედურო ბ-ნს ა. ჯ. ნუ-თუ შესაძლოა ამისთანა უსაბუთო საბუთის მოყვანა და თამამად გამოქვეყნება მხოლოდ იმისათვის, რომ გასაოცარის მოსაზრებით აიხსნას ჯერ კიდევ (კარგია ეს ჯერ) დაუძველებლობა სიტყვისა „წოდება".

ნუ-თუ ყველა მამულიშვილისათვის ცხადი არ უნდა იყოს, რომ თავად-აზნაურთა წოდება „ჯერ კიდევ" დაძველებული არ არის, იმიტომ კი არა, რომ ვითომ ქონება მეტი აქვს სხვაზედ, არამედ იმიტომ, რომ ჯერ ჩვენს ერს არა ჰყავს სხვა არავითარი წოდება, ანუ კლასი ცოტათი მაინც თვალსაჩინო და აღჭურვილი ზნეობრივის, ქონებრივის და ცოდნის ძალით, რომელსაც შეეძლოს იკისროს მემკვიდრეობა „დაძველებულის წოდებისა" და ის მოვალეობა და საზრუნი, რაც ჩვენმა ერმა ვალად დადო თავად-აზნაურობას.

ჩემის აზრით, ძლიერია და დაუძველებელი დღემდე თავად-აზნაურობა, ქონებით კი არა, არამედ მარტო იმ ისტორიულის ტრადიციით და იმ მოვალეობით, რომელიც მას აკისრა ჩვენმა წარსულმა ცხოვრებამ. თავად-აზნაურობა იყო მოსარჩლე ერისა, მომგერებელი გარეშე მტრისა და გამგე შინაურის საქმისა. ენა, სარწმუნოება, სამშობლოს დაცვა ამ წოდების დროშაზედ ეწერა და ამ დროშის წმიდა ფრიალს ყველა ქართველი თაყვანსა სცემდა. დიაღ, ამიტომ ეს სიტყვა „წოდება" ჯერ არ დაძველებულა, თუმცა შინაური მქადაგებელნი და გარეშე მტერნიც იმას აგონებენ ჩვენს ხალხს, რომ დროა ამ წოდებას ზურგი ვადრიკოთო და ისტორიულად ცნობილს მოსარჩლეს ქართველ ეროვნებისას ის უფლება ჩამოვართვათ, რომელიც დღეს ყველა სხვა წოდების ქართველს ეკუთვნის.

ჩვენნი ახალის მცნების მქადაგებელნი იმას გაიძახიან, რომ „ძმობა, ერთობა, თავისუფლება" მაშინ იქნება აღიარებული, როდესაც ამ ძმობის და ერთობის თანამოზიარედ აღარ იქნება ის „წოდება", რომელიც (უნდა ვიგულისხმოთ საუბედუროდ) „ჯერ არ დაძველებულაო".

ჩვენი ერი იმ მდგომარეობაში იმყოფება, რომ არც ერთის წოდების ათვალწუნება ჩვენ არ შეგვფერის. კლასთა და წოდებათა ბრძოლას ტაშს დაუკრამს

მხოლოდ ჩვენის ეროვნების მტერი და გულს მოუკლავს ყოველს მამულის შვილს. ამიტომ ჩვენმა მოწინავე საზოგადოებამ მთელი თავისი ძალ-ღონე იმას უნდა მოანდომოს, რომ მოსპოს ის მიზეზნი, რომელნიც ხელს უწყობენ წოდებათა ურთიერთ შორის ბრძოლას და განხეთქილებას. ჩვენდა საუბედუროდ ეს ძმათა ბრძოლა მთელ ქართველ ხალხს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი, მოწინავე საზოგადოებასაც-კი არ ასცილდა ეს მავნებელი სენი. საშინლად გვეხალისება ერთმანეთის დაცირება, უსაფუძვლოდ, უადგილოდ, მაშინაც-კი, როდესაც ეს საწინააღმდეგოა თვით დამამცირებელის ინტერესებისათვის. აიღეთ თუნდ ჩვენის ლიტერატურის და პრესის წარმომადგენელნი, რამოდენს ძალ-ღონეს ანდომებენ ერთმანეთის ქიშპობას. ყველას მიაჩნია თავის ამაღლებად სხვის დამცირება და დაქვეითება. ჩვენს საზოგადოებაში უფრო დიდის პატივით ის არის დაჯილდოვებული, რომელსაც-კი ამ საზარელ ცდაში მეტი უნარი გამოუჩენია. ამასვე ვხედავთ ყველგან. ქართველი მოხელე, რომელსაც ცოტათი მაინც თვალსაჩინო ალაგი უჭირავს, თავის გამოსაჩენად უპირველესად მოძმე ქართველს დასჩაგრავს. არავითარ სინანულს არ მოჰკვრის ქართველს რომელისამე მოძმის დამხობა, მეტადრე თუ ამ უკანასკნელმა რითიმე მოიპოვა პატივი საზოგადოებაში. ყველგან და ყოველთვის გაუტანელობა გვეტყობა, ძმობისა და ერთობისათვის-კი არავითარი ზრუნვა.

დროა, ვგონებ, დავრწმუნდეთ, რომ ქიშპობამ და გაუტანლობამ დიდი ვნება მოუტანა ჩვენს ქვეყანას და არავინ-კი არ აამაღლა. ნუ-თუ საშიში არ არის ამისთანა შუღლის და უთანხმოების თესვა ჩვენ წოდებათა შორის? ჩვენის ხალხის ხასიათი მომზადებული ნიადაგია და დიდი ცდა არ მოუნდება არავის თავად-აზნაურთა და გლეხ-კაცთა შუა შუღლი ჩამოაგდოს. მოსარჩლენი ჩვენის გლეხ-კაცობისა ძლიან სცდებიან, თუ ჰგონიათ, რომ თავად-აზნაურობის დაქვეითებით ისინი აამაღლებენ და გაამდიდრებენ გლეხ-კაცობას. უკანასკნელნი ჯერ იმდენად ღონივრები არ არიან, რომ თავიანთ მამულსაც-კი მოერივნენ, არამც თუ თავად-აზნაურობის მამულის მემკვიდრენიც გახდნენ. მხოლოდ ამ უსაგნო და უაზრო ბრძოლით სარგებლობენ და მომავალშიაც ისარგებლებენ გარეშენი, რომელნიც მტერნი არიან ჩვენის ეროვნებისა.

ამიტომ დიდს სამსახურს გაუწევს ჩვენს ერს ის მოღვაწე, რომელიც ყველა ქართველს, განურჩევლად წოდებისა, მხარს მისცემს და, რითაც-კი შეეძლება, თავად-აზნაურობას, გლეხობას და სხვა წოდების კაცთ ცხოვრების გზას გაუკვლევს და ამით, არ დაარღვევს მთლიანობას ჩვენის ერისას.

ვნახოთ, რამდენად შესაძლოა ასეთი ერთობა. თუ რომელიმე წოდება თავის გაძლიერებას, გაბედნიერებას დაამყარებს სხვა წოდების დაჩაგვრასა და დაქვეითებაზედ, მაშინ ყოვლად შეუძლებელია ძმობისა და ერთობისათვის ზრუნვა და ბაასი. ძმათა შორის შეუძლოა უნდა იყოს ერთმანეთის დაჩაგვრა. ბ-ნმა ა. ჯ—მ „ცნობის ფურცლის“ მკითხველი, ჩემის აზრით, საშინელ დღეში ჩააყენა, თუ ის მკითხველი მიენდო მისს მოსაზრებას და ეს მოსაზრება დამტკიცებულად სცნო იქ მოყვანილ ციფრებით. ყოველს მამულიშვილს, რომელიც გატაცებული არ არის უცხო ქვეყნების სათაყვანო თეორიებით, ბ. ა. ჯ—ს სიტყვები გულს მოუკლავდა და იმედს დაუკარგავდა ძმობასა, ერთობასა და წოდებათა მორიგებაზედ. სამაგიეროდ ის-კი, რომელიც სამშობლოს ბედნიერებას ჰხედავს მხოლოდ თავის დოქტრინის განხორციელებაში, რასაკვირველია, „ვაშა“, „ვაშას“ შეჰკივლებდა, როცა ბ. ა. ჯ—ს სიტყვებს ამოიკითხავდა მარტო „ცნობის ფურცელში“-კი არა, თავის გულშიაც.

ბ-ნ ა. ჯორჯაძე, ცოტა არ იყოს, გულნატკენია „Plebs“-ის სიტყვებით (იხილე ,,ივერია'' № 16) და ემდურება ჩვენის საზოგადოების მიზეზიანობას. იგი ამბობს (იხ. ,,ცნ. ფ''. № 1704):

„ჩვენისთანა მიზეზიანი საზოგადოება ძნელად წარმოსადგენია. გულს ვერაფრით ვერ მოუგებთ. დასწერთ ფაქტებით და ციფრებით დასაბუთებულს წერილს, დაასახელებთ ცხოვრების მოვლენას თავის ნამდვილის სახელით, გიწყრებიან. გეუბნებიან, რომ გაკლიათ საზოგადო თეორეტიული მომზადება, აზროვნული შორს-მხედველობა. ჩამოაგდებთ ლაპარაკს ზოგად კითხვებზე, მეცნიერება-ფილოსოფიაზედ, გაუყვედრიან, მაღალ ფარდებში დაფრინავ, ცხოვრებას გაურბიხარო„.

ნუ-თუ ბ. ა. ჯ—ს საყვედური სამართლიანია და მართლა ჩვენი გლეხ-კაცობა ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, როგორც გვარწმუნებს ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე, რომ მას სხვა ღონისძიება აღარა მოეპოვება-რა, სხვა საშუალება აღარა დარჩენია-რა, გარდა იმისა, რომ ,,სხვას შეჰყურებს და სულ იმის ფიქრსა და ცდაშია, რომ სხვისით შეივსოს თავისი დანაკლისი; ,,ივერიას''-კი ჰგონია, რომ ჩვენი ხალხი მატერიალურის მხრივ სრულიად (!?) დაკმაყოფილებულია'' (არ ვიცი როდის გამოაქვეყნა ეს უცნაური ამბავი ,,ივერიამ''?) ,,და სჯერდება იმით, რაც აქვს'' („ცნ. ფ.“ № 1693).

აბა, დავაკვირდეთ „ფაქტებით და ციფრებით დასაბუთებულს'' წერილს ბ. ა. ჯ—ისას და ვნახოთ ნამდვილი ფაქტები და ციფრები რას ასაბუთებენ. ჯერ მხოლოდ შევეხებით აღმოსავლეთ საქართველოს ანუ ტფილისის გუბერნიის სოფლელთა მდგომარეობას და ვნახოთ რამდენად მართალია ბ. ა. ჯ--ის აზრი და მერე დასავლეთს საქართველოს ანუ ქუთაისის გუბერნიას. ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

მ. ტფილისელი.

ახალი ამბავი

გუშინ, 1 თებერვალს, ტფილისის რკინის გზის სადგურზე, რამდენიმე ავაზაკი თავს დაეცა რკინის გზის არტელჩიკს, რომელსაც თან ჰქონდა 10000 მანეთივ. არტელჩიკის ერთმა მხლებელმა დასჭრა თოფით ერთი ავაზაკთაგანი, ხოლო ამათ თოფითვე დასჭრეს ერთი მხლებელი.

_ დღეს, 2 თებერვალს, ქართულს თეატრში, რუსთა შესანიშნავ მწერლის გოგოლის გარდაცვალებიდგან 50 წლის შესრულების სახსოვრად, წარმოდგენილი იქმნება ამ მწერლის კომედია „რევიზორი“. მონაწილეობას მთელი დასი იღებს.

_ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობასა და ზედამხედველ კომიტეტს ხუთასი მანეთი გადაუდვია დაუვიწყარის დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალებულ ქვრივის ნინო იაგორის ასულის დასაფლავებისათვის.

_ გუშინ-წინ, იანვრის 31, მიწის ძვრა იყო ტფილისსა, ბაქოსა და შემახიაში. პირველს ორ ქალაქში ზარალი და უბედურება არა ყოფილა-რა, ხოლო შემახია-კი დიდად დაუზიანებია. როგორც ისმის, დიდი უმეტესობა შენობათა თურმე დაინგრა, მცხოვრებთაგან თუ ვინმე დაშავდა, ჯერ დანამდვილებით არ ვიცით.

_ ქართველ თავად-აზნაურობის დეპუტაციას მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურობის გუბერნიის წინამძღოლის თ-დის ტრუბეცკოისათვის მიურთმევია ჩვენებური ოქრო-ვერცხლის ხელოვნების ნაწარმოებნი.

_ დღეს, 2 თებერვალს, საღამოს 7 საათზედ მეაბრეშუმეობის სადგურის უმთავრესს შენობაში დანიშნულია სხდომა რუსეთის მებაღეობის კავკასიის განყოფილების წევრთა. სხდომაზე განსახილველად დანიშნულია შემდეგი საგნები: ა) წინადადება ნათესების დამზღვევის საურთიერთო საზოგადოებისა დასაზღვევ გადასახადის შემცირების თაობაზე და ბ) დასაზღვევ წესების შემოღება მემამულეებთან შეთანხმებით. სხდომაზე დასწრება გარეშეთაც შეუძლიანთ.

_ 13 თებერვალს სრულდება ასი წელიწადი, რაც დაიბადა საფრანგეთის დიდებული პოეტი და თავის დროის მოწინავე აზრთა მესვეური ვიქტორ ჰიუგო. სასურველია ჩვენმა საზოგადოებამ და კერძოდ ქართულმა თეატრმა თავისს მხრივ შესაფერად აღნიშნოს ეს სახსოვარი დღე...

_ 13 თებერვალს ბაქოში მცხოვრები ფრანგები აპირებენ ვიქტორ ჰიუგოს გარდაცვალების ასის წლის თავზე იუბილეს გადახდას. ფრანგულად სიტყვების წარმოთქმის შემდეგ წმ. ნინოს სასწავლებლის პედაგოგიურ რჩევის თავმჯდომარე ფედოროვსკი წაიკითხავს: „ვიქტორ ჰიუგოს მნიშვნელობა მსოფლიო ლიტერატურაში“.

_ რუსეთის მწერალის გოგოლის გარდაცვალების შემდეგ ორმოც-და ათის წლის თავზე ამ დაუვიწყარის მწერლის პატივსაცემად ქალაქის სასკოლო კომისიამ შეიმუშავა შემდეგი პროგრამა: 1) გადახდილ იქმნას პანაშვიდი ქალაქის ყველა სკოლების მოწაფეთა და ქალაქის საბჭოს ხმოსანთა თანადასწრებით.

2) დაიდგას მისი ბიუსტი ალექსანდრეს ბაღში. 3) ქალაქის ორ სკოლას დაერქვას გოგოლის სახელი. 4) გაიმართოს სალიტერატურო დილა ან საღამოები ქალაქის ყველა სასწავლებელში; ეს დილა ან საღამოები უნდა გაიმართოს 18 თებერვლიდამ 24 თებერვლამდე. 5) დაურიგდეს ქალაქის სკოლების პირველ-დაწყებით უფროს განყოფილების მოწაფეებს, პროფესიონალურ და სახელოსნო სკოლის მოწაფეებს გოგოლის მოთხრობები იაფ-ფასიანის გამოცემისა. მოსამზადებელ კლასების მოწაფეებს დაურიგდეს გოგოლის სურათები. ეს დადგენილება გადაეცა ქალაქის გამგეობას საბჭოსათვის მოსახსენებლად.

_ დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სახელობაზედ ქალაქის 4 კლასიან სკოლის დაარსების საქმის განხილვა სასკოლო კომისიამ გადასდვა შემდეგ სხდომისათვის.

_ ავლაბრის სკოლის მასწავლებლებმა ბარნოვმა და თარხანოვმა ამას წინად ითხოვეს, რომ ქართულ ენის სწავლება ქალაქის პირველ-დაწყებითს სკოლებში განსვენებული თამარ ქუჩუკაშვილის მაგიერ მათთვის მიენდოთ იმ პირობით, რომ სექტემბრამდე ხვედრი ჯამაგირი ქუჩუკაშვილის დედისათვის მიეცათ. სასკოლო კომისიამ გუშინ-წინ განიხილა ეს თხოვნა: მოუხერხებლად სცნო, რომ ბარნოვმა და თარხანოვმა, სხვა საგნებს გარდა, ქართული ენა ასწავლონ და ამის გამო დაადგინა: ქართულის ენის სწავლება ავლაბრის სკოლას მიენდოს სოლოლაკის სკოლის მასწავლებელს ნესტორ ნიკოლაშვილს; თამარ ქუჩუკაშვილის დედას-კი მიეცეს ერთად ოთხის თვის ჯამაგირი, რასაც იღებდა მისი უდროვოდ გარდაცვლილი ქალი.

_ ამ ჟამად ავლაბრის სადალაქოები ცუდს მდგომარეობაშია სანიტარულ მხრივ: თითქმის ყველგან ჭერი ჩამოწოლილია, იატაკი ჩამპალი და ჩანგრეული, კედლები ჭუჭყიანი და მყრალი; სადალაქო იარაღები, მაკრატლები, ტასტები პირის ჩამოსაბანად და მაშინები ჩაჟანგებული. ამ ცუდ სადალაქოებში მუდამ მდაბიო, ღარიბი ხალხი დაიარება და მრავალნაირად იწამლება: ყელზე, ლოყებზე რაღაც მუწუკებს აყრის და სხვ.

29 იანვარს ეს ადგილები დაათვალიერა ქალაქის მეორე ნაწილის ექიმმა ბ-ნმა პროზოროვსკიმ და მართლაც საშიშოდ მიიჩნია ამ სადალაქოების სანიტარული მდგომარეობა. ამიტომ ყველა დალაქებს დაევალათ ამ ორს კვირაში ყოველი ღონისძიება იხმარონ და ჭერი, იატაკი, შპალერი და იარაღები სულ ახალი შეიძინონ, წინააღმდეგს შემთხვევაში სადალაქოებს დაუხურვენ და პატრონებსაც პასუხს აგებინებენ.

_ ხუთშაბათს, 31 იანვარს, ქართულმა დრამატიულმა დასმა, ბ-ნ სვიმონიძის საბენეფისოდ, წარმოადგინა ზუდერმანის პიესა „სოდომის წარღვნა“. დაწვრილებითს ანგარიშს ამ წარმოდგენის შესახებ შემდეგ დავბეჭდავთ.

_ ხვალ, 3 თებერვალს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილი იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი თამარა გიორგის ასულის ქუჩუკაშვილის სულის მოსახსენებლად.

_ ნავთის მწარმოებელთა XVI [illegible] წარსულის წლის დეკემბრის 28-ს [illegible] დასწყვიტა: გადადებულ იქმნას 25.000 მან ნავთის წყაროების გამოსაკვლევად ტეხას (ამერიკაში) და აგრეთვე კეროსინის ვაჭრობ საქმის მოწყობის შესასწავლად ევროპ ამერიკასა და აღმოსავლეთში. ეს გამოკვლ და შესწავლა ნავთის მწარმოებელთა კრებ საბჭომ მიანდო ქიმიკოსს პლატონოვს.

_ იანვრის 26-ს ბაქოში გამართულს ქა თულს საღამოზე ერთს „განმკარგულებელ შეურაცხყოფა მიუყენებია სამღვდელოდ მ ვეულ ,,აშუღებისათვის''. ,,კასპი“ სიტყვი ამ შეურაცხყოფის გამო ,,აშუღებს'' ა უმღერნიათ და შეუჩივლიათ საღამოს მეთვა ყურე გუბერნატორის მოხელის ხერნოვსა პოლიცმეისტრისათვის. ეს შემთხვევა იმი უფრო სამწუხარო, რომ შარშანდელს სა მოსაც არ ჩაუვლია ბაქოში უინციდენტოდ... უნდა დავივიწყოთ, რომ ბაქოს საღამოები უფრ მეტს შემოსავალს იძლევა ყოველთვის, ვიდ სხვა ქალაქებისა, მათ შორის ტფილისისაც... ბაქოელნი მკვიდრნი ისეთის თანაგრძნობი და პატივისცემით გვეპყრობიან ქართველებ რომ სასურველია ჩვენი იქაურნი მოძმენ ქართულს თავაზიანობას უფრო იშვიათა დაივიწყებდნენ ხოლმე...

იმერეთის ამბავი:

_ რკინის გზათა სამმართველოს განზრახ აქვს ხაშურსა და ბათუმს შუა რკინის გზ მეორე ლიანდაგი გაიყვანოს, რადგანაც ამ ერ-კავკასიის რკინის გზა ამ ჟამად არ ჰყოფ ნის ცხოვრებისა და ვაჭრობა-მრეწველობ მოთხოვნილებას.

ოფიციოზურ გაზეთს „კავკაზში“ დაბეჭდილ წერილებიდგან სჩანს, რომ ორი აზრი არს ბობს ინჟენერთა შორის ამ მეორე ლიანდა გის მიმართულების შესახებ. ერთნი მათგანნ იმ აზრისანი არიან, რომ მეორე ლიანდაგი უნდა გაყვანილ იქმნას პირველ ლიანდაგის დაყოლება, რაც დიდად სასურველია მოვლა-გამგეობის სიადვილისათვის; ხოლო მეორენი, ჩვენის აზრით, საქმეში უფრო ჩახედულნი, ამბობენ, რომ ახლანდელი ლიანდაგი გვირ ბიდგან ყვირილამდე ისეთს ვიწრო ხეობაში, რომ მის დაყოლება კიდევ მეორე ლიანდა გის გაყვანა თითქმის ყოვლად დაუძლეველ ტეხნიკურ დაბრკოლებას წააწყდებაო. საჭ როა მეორე ლიანდაგი სხვა, ახალის მიმართუ ლებით იქმნას გაყვანილი, სწერს „კავკაზში“ ბ-ნი პ. ი.— გზა მარჯვნივ უნდა მიიწიოს, გაჰყვეს იმერეთის ძველ სამხედრო გზას (ს. კორ ბოულით), მიყვანილ იქმნას ქუთაისამდე და იქიდან ახალ-სენაკამდე, სადაც შეუერთდება ფოთის გზას. ეს მიმართულება ბ-ნის პ. ი. სიტყვით, 15—20 ვერსით შეამოკლებს გზა და შემდეგნი უპირატესობანი აქვს: ა) ამი ერ-კავკასიის რკინის გზის სასარგებლო ზედ გავლენა გავრცელდება რიონის მთელს მდი დარს ხეობაში; ბ) ბათომისა და ფოთის რკ

ფელეტონი

ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები *)

VI

„ყმა უმღერალი არ ვარგა.
ჭაბუკი უხელებელი“.
ფშაური.

ზევით ვნახეთ, რომ ალ. ჭავჭავაძე სრული და ზედ-მიწევნილი მომღერალია მგრძნობელობისა და ეშყისა. ეს მართლაც ასეა. ასეთის კაცის პოეზია სალხინო პოეზია უნდა იყოს, ლექსი სასიმღერო ლექსი უნდა იყოს. მაგრამ ასე როდია. ალ. ჭავჭავაძე პირველსავე ლექსში აღიარებს, რომ

„მღერად—ოხვრა, ლხინად გლოვა მებადა“-ო. 1)

სამხიარულო ლექსების დამწერი და მღერალი, იმავე დროს „ჭმუნვის მახვილით“ არის განგმირული.

უნებლიედ კითხულობს ადამიანი, საიდგან არის, რა მიზეზია, რომ ის კაცი, რომელსაც ანაკრეონს ადარებს არა ერთი და ორი და რომელიც მუდამ მომღერალი, ეშხის ამყოლი და მოყვარულია,—ჭმუნვას აჰყოლია. საკვირველია, მაგრამ ნამდვილი-კია. ამიტომ ცალმხრივ თუ გარსჭვრეტთ ამ გარემოებას თითქოს დავრწმუნდებით, რომ ალ. ჭავჭავაძის პოეზიას ორმაგობა, ორჭოფობა ამჩნევია. თუ საქმის ვითარებას ღრმად არ დავუკვირდებით, ჭეშმარიტად მიიჩნევთ იმ აზრს, რომ ალ. ჭავჭავაძის ხასიათს დილეტანტის ხასიათის ბეჭედი აზის, რადგან, როგორც ვიცით, დილეტანტის ნიშობლივი თვისებაა ორჭოფობა გრძნობისა, აზრისა და ფიქრისა, მიმდევრობა, აყოლა ორის სხვა-და-სხვა სურვილისა და წადილისა. ასეთის აზრის დამსკვნელი ბეჯითად დარწმუნდება, რომ ალ. ჭავჭავაძე დიდი ნიჭის პატრონი არ არისო და უფრო ფუქსავატის ხასიათის ადამიანიო. ასე იფიქრებს ბევრი, და ჩვენ საბუთი გვაქვს, რომ ასე ფიქრობს, არა თუ უბრალო მკითხველი, არამედ, ჩვენდა სამარცხვინოდ, ზოგი კრიტიკოსიც-კი. მაგრამ ეს აზრი, ეს შეხედულობა უსაფუძვლოა, შეუწყნარებელი, რადგან სიმართლეს მოკლებულია და ყალბი.

გავარკვიოთ, საიდგან წარმოსდგება, სად იმარხება ძირითადი მიზეზი ალ. ჭავჭავაძის ჭმუნვისა.

ალ. ჭავჭავაძის ჭმუნვა შედეგია მისისავე მგრძნობელობისა. საქმე ის არის, რომ კაცი, რომელიც მგრძნობელობის მიმყოლია და გულის-თქმათა დაკმაყოფილებას მისდევს, ასეთი კაცი, ასეთი ადამიანი ძალზე მოჯადოვებულია გრძნობით, სურვილთა აშლით და მოწადინებულია, უფრო ღრმად ჩასწვდეს ასეთ გვარს სიტკბოებას და უკანასკნელი წვეთი ნექტრისა ამოწუწნოს. ამიტომ აქ სურვილი უფრო ძლიერდება, წყურვილი მუდამ დაუკმაყოფილებელი რჩება. ამ გვარ მდგომარეობის სინამდვილეს თვით ალ. ჭავჭავაძე გულ-წრფელად აღიარებს:

„ერთ გზის ხელმან შებრალემან ტრფიალებით მწყურვალსა
„მომცა ლაღის ფიალა და მრქვა: ნუ სწუხარ, შესვი ესა!
„ბაგე ხარბად დაწაფა მას შარბათისა საამესა,
„მაგრამ წყურვა არ თუ მოსპო, უფრეს გამიაადრესა. 2)

რამდენადაც უფრო იკმაყოფილებს კაცი ტრფიალების წყურვილს, მით უფრო უძლიერდება სურვილი კვლავ დაეწაფოს ამ ტრფიალების ნაკადულს. მაგრამ მოგეხსენებათ, რომ დაკმაყოფილება, წყურვის მოსპობა აქ ძლიერ ერთ-გვარია. დიდი საქმეა, ძნელია, კაცმა აქ სხვა-და-სხვაობა იგრძნო, მრავალფეროვნება გამოიჩინო. აქ თვით ტრფობის საგნის შეცვლა თუ წარმოადგენს სხვა-გვარობას, სიახლეს, თორემ თვით გრძნობა, ამ გრძნობის სიღრმე და სიდიდე იგივე რჩება. ის-კი არა, ბევრჯელ გამეორებული ეს გულის ფანცქალი, ეს გულის ძგერა და აღგზნებული გრძნობა ოდნავ მოიშლება, მოდუნდება ხოლმე, აქ კი თავს იჩენს გრძნობის მატლი—მოყირჭება. აი, სწორედ აქ იჩენს თავს ფესვი, ნაკადული იმ ჭმუნვისა, რომელსაც ჩვენი მგოსანი ასე შეუპყრია. ეს ჭმუნვა შედეგია იმ დაუკმაყოფილებელ ტრფიალებისა, რომელშიაც პოეტმა ვერ შთაწერა სრულებით თვისი გრძნობა. ეს ჭმუნვა შედეგია მოშვებულის, მოყირჭებულის მგრძნობელობისა, რადგან, პოეტის სიტყვით,

„აშიკი ჰხამს იყოს
“ხან მღერით, ხან ტირილით.“ 3)

ფსიხოლოგიურად ალ. ჭავჭავაძე აქ სრულს სიმართლეს აღნიშნავს, რადგან სიყვარულს უეჭველად თან ჭმუნვაც ახლავს. ამ გვარ სინამდვილეზე გვითითებენ აგრეთვე ადამიანის გულის ისეთნი მესაიდუმლენი, როგორნიც არიან უკვდავი შოთა და გრ. ორბელიანი. პირველი ცხადად და აშკარად აღნიშნავს ორმაგობს ტრფობის საქმეში:

„იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა.
„ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდეს მრავალთა წყენათა.“

ხოლო მეორე-კი აღნიშნავს, რომ

„ტანჯვა არს მზრდელი ტრფობისა, დამბერველ ეშხის ცეცხლისა.
“ტანჯვა არს ვალი და მსხვერპლი უზომო სიყვარულისა“ 4).

მგრძნობელობის ამ თვისების აღსანიშნავად ალ. ჭავჭავაძემ დასწერა იეთი საუცხოვო, ყოველის მხრით უნაკლულო ლექსი, როგორიც არის „ჭმუნვის მახვილი“. არა მგონია, ქართველ კაცს ნება ჰქონდეს ინტელიგენტის სახელი ატაროს, თუ ეს ლექსი ზეპირად არ იცის. მაგრამ ბევრია ასეთი ჩვენში?!

ჭმუნვა ალ. ჭავჭავაძესი, ტანჯვა გრ. ორბელიანისა და წყენა შოთასი ერთისა და იმავე ხასიათისაა. ხოლო არც ერთი არ წააგავს სკეპტიურს ურწმუნოებას, სულით ობლობას.

ჭმუნვა შედეგია ტრფობისა, მასთან განუყრელია. ეს გრძნობა-კი, ეს აზრთა და გრძნობათა მოხაზულობა ისე მუდმივი როდია. ეს ჭმუნვა გაივლის, დროებით დაწყნარდება, თუ-კი საგანი ტრფობისა მოახლოვდა, თუ ამ საგანმა, ეშყის აღმძვრელმა სასმენი კარნი ჩვენთვის განაღო და ისმინა ის ეხა, რომელიც მისთვის მუსიკობს ხოლმე. სულის ობლობა-კი მუდმივი და განუწყვეტელი რწმენაა ადამიანისა ადამიანისა და ბუნების შესახებ. ეს სულის ერთგვარი ვითარება მონოიდეიურია და მით შეპყრობილს მარადის არ შორდება ის ღრმა რწმენა, რომ ყოველივე კაცთა ცხოვრებაში ამაოა, რადგან ადამიანი ვერ სწვდება სინამდვილეს არსებობისას, რეალობისას, თვით სულს საგანთა და მოვლენათა. პირველი შედეგია გადაჭარბებულ მგრძნობელობისა, ხოლო მეორე გადაჭარბებულ გონიერებისა, თუ კი შეიძლება ასე ითქვას.

ჩემი საქმე არ არის, გავარკვიო ამ ჟამად რომელია ამ სულის ორ გვარ ვითარებათა შორის კარგი ან უმჯობესი, უაღრესის მნიშვნელობისა ან უმცირესის ფასისა. ის-კია, რომ მგრძნობელობას როდი აქვს ისე ვრცლად გადაშლილი სარბიელი; მისი სამთავრო იმ სიდიდე როდია, რომ მისმა ამყოლმა მარადის დაიტკბოს სული სხვა-და-სხვაობით, სიახლით. გარდა ამისა, სიტკბოება რომ იგრძნო აქ, საჭიროა მეორე არსება, შენებრ აღგზნებული, რომელსაც შენებრ „ეშყის ალში ჰქმნია მურვა“. ეს კი ხშირად მოუხერხებელი და მიუწდომელია. გრძნობის ფრთის გაშლა დამოკიდებული საქმეა, წრე-შემოწერილი.

უკეთეს მდგომარეობაშია გონებისა და ფიქრის ამყოლი ადამიანი, რადგან იგი სრულებით დამოუკიდებელია და თავისუფალი. აზრის ფიქრის სამთავრო ფარგალ-შემოუვლებელია, შემოუზღუდავი, არავიზედ არა ხარ აქ დამოკიდებული. ამიტომ სხვა-და-სხვაობა, სიახლე მარადის სრულებით და მხოლოდ დამოკიდებულია საკუთარ ნიჭიერებაზე, საკუთარ სულის მადლზე. ისიც არის, რომ ამ გვარი სიახლე როდი დაატკბობს ხოლმე ისე ღრმად, ისე ძლიერად ადამიანს, რა სიღმითაც შეატოკებს ხოლმე მთელს არსებას ადამიანისას ახალი გრძნობა, ახალი გულის ძგერა და გულის თქმა. უეჭველია, დიდი და ღრმა იყო სიტკბოება, კმაყოფილება სირაკუზის მათემატიკოსისა, როცა აღტაცებით წარმოიძახა „ევრიკა“-ო, ერთი ცნობილი კანონი რომ აღმოაჩინა. მაგრამ საზოგადოდ-კი მგრძნობელობა უფრო ღრმად მიიღებს ხოლმე სიმწარესაც და სიტკბოებასაც. ვერაფერი შეედრება იმ სიმწარეს, რომელსაც იგრძნობს ხოლმე ყოველი ჩვენგანი, როცა ტრფობის საგანს ჰკარგავს. ფიზიკის ტერმინებით რომ გამოვსთქვა, ვიტყვი, რომ მგრძნობელობის ზვირთი მოკლეა, ხოლო გაშირებით მტოკავი და ჩქარი მსრბოლავი; ამ

---

*) იხ. «ივერია» № 25.

1) იხ. გვ. 1.

2) იხ. გვ. 93.

3) იხ. გვერ. 12.

4) იხ. ლექსები გრ. ორბელიანისა, გვ. 31.

ნის გზის შეერთება გაუადვილებს მიმოსვლას ადგილებისა და ახალ-სენაკის მიდამოების მცხოვრებთ; გ) ეს გზა გააუმჯობესებს და გააადვილებს სავაჭრო ურთიერთობასა და მიმოსვლას ბათომსა, ფოთსა და ქუთაისს შუა; დ) ბათომისა და ფოთის რკინის გზით შეერთებას სამხედრო მნიშვნელობაც აქვს, რადგანაც გააადვილებს შავის ზღვის ნაპირების დაცვას“..

ამ ნათქვამს ბ-ნის პ—სას იმავე გაზეთში ბ-ნი მარელისელი დასძენს შემდეგს: „რაც შეეხება რკინის გზის გაყვანას ქუთაისსა და ახალ-სენაკს შუა, ეს საქმე არავითარს სიძნელეს არ წარმოადგენს. ეს მიმართულება გამოიკვლია 1896 წ. ინჟენერმა დუნინმა (1895 წ. ნაალვრისაგან წალეკვის შემდეგ), და ამავე მიმართულებით რკინის გზის გაყვანას თხოულობდნენ და ცდილობდნენ თვით ქუთათურები. ინჟენერმა ტომაშევსკიმა მაშინვე გამოიკვლია გზა ქუთაისსა და ოჯამეთს შუა და ინჟენერმა საველიევმა ოჯამეთსა და ყვირილას შუა. ქუთაისის ინტერესი მოითხოვს, რომ იგი იყო რკინის გზის მთავარს ლიანდაგზე და შემოკლდეს ფოთსა დ̃ ბათომს შუა გასავლელი მანძილი. ქუთაისს ბევრი სავაჭრო ინტერესები აქვს ბათომსა და ფოთთან; ფოთისა და ბათომის რკინის გზით შეერთება ფოთსა და სუფსას შუა გაყვანილის რკინის გზის შტოთი ქუთათურებს გაუადვილებდა ამ ნავთსადგურებით საქონლის გაზიდვასაც დ̃ მიმოსვლასაც.

თქმა არ უნდა, რომ მხოლოდ ქუთაისს და ახალსენაკს შუა რკინის გზის პირდაპირ გაყვანას, თუ ფოთი და სუფსა არ შეაერთეს რკინის გზის შტოთი, იმდენივე ეკონომიური მნიშვნელობა არ ექმნება, როგორც იმ შემთხვევაში, როცა ფოთსა და სუფსას შუა შტო იქმნება გაყვანილი. ამ უკანასკნელს შემთხვევაში-კი ქუთაისი იქნება რკინის გზის მთავარს ლიანდაგზე. საფიქრებელია, რომ ესევე ჰქონდათ აზრად 1896 წელსაც, როცა რკინის გზის პირდაპირ გაყვანას იმისთვის ფიქრობდნენ, რომ თავიდგან აეცილებინათ წალეკილს მანძილზე ძვირფას ხიდების აგება“.

ქუთაისის თვითმმართველობას ჰმართებს ახლაც ისე დაუფაცურდეს ამ მისთვის დიდ მნიშვნელოვანს საქმეს რკინის გზის ახალ ლიანდაგის ქუთაისზე გაყვანისას, როგორც დაფაცურდა 1895—1896 წლებში. ახლა ცოტა უფრო გაადვილებული იქნება ქუთათურების მეცადინეობა, რადგანაც დღეს თვით მთავრობასა აქვს განზრახული ხაშურ-ბათომს შუა მეორე ლიანდაგის გაყვანა და ამასთანავე, ზოგიერთი გამოცდილი ინჟენერი ირჩევს სწორედ იმ მიმართულებას, რაც ქუთათურების ნატვრას შეადგენს..

⁂ ბათომში მარტის დამლევს აკურთხებენ ქალაქის ახალს საავადმყოფოს. „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ სიტყვით, საავადმყოფოში პირველად ორმცი ლოგინი იქნება მოთავსებული. ეს ახალი საავადმყოფო საუკეთესო იქნება მთელს კავკასიაში.

კიევის სასულიერო აკადემიის სამასის წლის მომავალ იუბილეს გამო.

1915 წელს შესრულდება სამასი წელი, რაც დაარსებულ იქმნა კიევის სასულიერო აკადემია. ამის გამო საკადემიო საბჭომ გადაწყვიტა იდღესასწაულოს ხსენებულის აკადემიის სამასის წლის იუბილე. საბჭომ დაარსა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეადგინოს ვრცელი და დასაბუთებული მეცნიერული ისტორია კიევის აკადემიის სამასის წლის არსებობისა... ამ ისტორიაში ჯეროვანი ადგილი დაეთმობა დაწვრილებითს ცნობებს იმათ შესახებ, რომელთაც მიიღეს ამ აკადემიაში უმაღლესი სღვთისმეტყველო განათლება და კურსის დამთავრების შემდეგ სამშობლოს სასარგებლოდ მოღვაწეობდნენ ცხოვრების სხვა და სხვა სარბიელზედ. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდგან კიევის სასულიერო აკადემიას მნიშვნელობა ჰქონდა არა თუ მარტო რუსეთისა, არამედ საქართველოსათვისაც. საქართველოს ბევრმა შვილმაც ამ აკადემიაში მიიღო თვისი უმაღლესი განათლება და კურსის დამთავრების შემდეგ მოღვაწეობდა და ზოგი დღემდის მოღვაწეობს თვისის მრავალ-წამებულის ერისა და სამშობლოს სასარგებლოდ.

ამათ შორის დავასახელებთ: ღრმად-პატივცემულს ქართველთაგან ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსებს იმერეთისას ლეონიდს (1888 წლ.), გორისას—კირიონს (1879 წ.), ჩვენს სახელოვანს დაუღალავს პედაგოგს და დამსახურებულს მოღვაწეს იაკობ გოგებაშვილს, დეკანოზს მაგისტრს გიორგი ხელიძეს, არქიმანდრიტს გიორგის, აწინდელს ზედამხედველს ახალ-სენაკის სასულიერო სასწავლებლისას (ალადაშვილს), მიხეილ ივანეს ძეს ილურიძეს, აწ უკვე განსვენებულს, ნიკოლოზ ლომაურს, ცნობილს ბელეტრისტს და მოღვაწეს, ნიკოლოზ დიმიტრის ძეს მახათაძეს, ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელს, მღვდლებს მარკოზ ტყემალაძეს და კალ. ცინცაძეს და სხვ.

კიევის სასულიერო აკადემიის საბჭომ, რომელიც დიდის თანაგრძნობით ეპყრობა ქართველს სტუდენტებს, კერძო-მიწერ-მოწერის შემდეგ მომანდო, როგორც ამ აკადემიაში კურს-დამთავრებულს, 23 დეკემბერს 1901 წლ., რათა მივიღო მონაწილეობა ზემოდ დასახელებულ კომისიის შრომაში და მივაწოდო ცნობანი ამ აკადემიაში კურს-დამთავრებულ ქართველებისა და მათის მოღვაწეობის შესახებ სამშობლოში. კიევის სასულიერო აკადემიის რექტორი, ეპისკოპოსი დიმიტრი მწერს ამ საქმის შესახებ, სხვათა შორის, შემდეგს: „კიევის სასულიერო აკადემიის საბჭომ წრფელის მადლობის გრძნობით მიიღო თქვენი თანხმობა იმის შესახებ, რომ მზად ხართ იკისროთ შრომა, აკადემიის სამასის წლის იუბილეს მომავალ დღესასწაულისათვის მის მოწაფეებად ნამყოფ ქართველების ბიოგრაფიულ ცნობათა შეკრებით“.

ამ ჟამად ჩვენ ვედით ვრცელს გეგმას ჩვენის მომავალის შრომისას, რომელსაც, ვფიქრობთ, საუკეთესო ადგილი დაეთმობა კიევის სასულიერო აკადემიის სამასის წლის ისტორიაში. ჩვენი გულითადი განზრახვაა ამ აკადემიის მოწაფეებად ნამყოფ ქართველთა ცხოვრება და მოღვაწეობა სამშობლოში სხვა და სხვა სარბიელზედ დაწვრილებით განვიხილოთ, აკადემიის საბჭოს სურვილის თანახმად. იმედი გვაქვს, რამდენადაც კი დრო, გარემოება და ჩვენი ცოდნა ხელს მოგვიმართავს, კეთილად და პირნათლად შევასრულოთ ეს ფრიად სასიამოვნო მოვალეობა.

1902 წ.
28 იანვარი.

ილ. ფერაძე.

დაბა და სოფელი

ტყიბულა (ქუთაისის მაზრა). წელს კარგი ზამთარია აქეთ. სხვა დროს, აქედან ნაქერალაზედ გადასვლა რაჭაში შეუძლებელი იყო ხოლმე, ახლა-კი განუწყვეტელი მისვლა-მოსვლაა კარგის ამინდებისა გამო. ასე გასინჯეთ, დატვირთული ცხენებიც-კი გადაჰყავთ.

აქეთ ყვავილი ძრიელ არის გავრცელებული, მაგრამ ზარალი არა აქვს-რა. ყველანი კარგად ჰხდილობენ.

სხვათრივ აქეთ მშვიდობაა. საზოგადოდ ტყიბულა ფრიად მშვდობიანი ადგილია. ტყიბულის ბაზარი პატარაა: სულ სამოცი დუქანი და სახელოსნო რომ იყოს აქ, მეტი არ იქნება, მაგრამ მაინც იშვიათია ჩხუბი, უწესოება და ავკაცობა. არ მახსოვს, რომ ქურდობა მომხდარიყოს. ამის მიზეზი უფრო ის არის, რომ აქ უმეტესად რაჭველი ხალხი ტრიალებს და რაჭველები საზოგადოდ მშვიდობიანი, უწყინარი და ავკაცობას მორიდებული ხალხია.

აქეთ ცოტა სავაჭრო და სამრეწველო საქმე არა ჰკეთდება. აქ მზადდება მრავლად „შპალი“ რკინის გზისათვის, „კლიოპკები“ ბოჭკებისათვის. ეს მასალა იგზავნება მრავლად ბათუმში. მზადდება მრავლად შეშაც. ამ ზამთარს აქედან წავიდა 300 საჟენი შეშა მარტო ერთის კაცისაგან დამზადებული.

ილია ფოფხაძე.

ნარკვევი.

ჟურნალ „ნაროდნოე ხოზიაისტვოს“ იანვრის ნომერში, სხვათა შორის, საინტერესო წერილია დაბეჭდილი ერობის შესახებ. წერილის ავტორს მოჰყავს ცნობები, თუ როგორ უგულოდ ეკიდებიან თავისს მოვალეობას საერობო ამრჩევლები: პირველს საარჩევნო ყრილობას ესწრება 2 პროცენტი მხოლოდ, მეორეს—18%, პირველს კრებას-17,4% და მეორეს 8 პროცენტი მხოლოდ.

სასაცილო იქნება, ჩვენი საერობო არჩევნები ევროპის საზოგადო არჩევნებს შევადაროთ, მაგრამ ზოგიერთის საგნის გამოსაკვლევად მაინც დავუპირდაპიროთ ერთმანეთს ციფრები. გერმანიაში რეიხსტაგის უკანასკნელს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამრჩევლების 80 პროცენტმა; ჩვენში-კი მონაწილეობა მიუღია 5—6 ჯერ ნაკლებს. ამასთან გვქონიოთ სახეში, რომ გერმანიაში საარჩევნო უფლება ყველას ეკუთვნის და ჩვენში-კი მარტო შეძლებულს და განათლებულს კაცებს.

ამას წინად შრეიდერმა გამოაქვეყნა ცნობები რუსეთის 29 ქალაქის შესახებ. სამხრეთის 12 ქალაქში საქალაქო არჩევნებში მონაწილეობას იღებს ამრჩევლების 30,8 პროც. და 17 შიდა გუბერნიების ქალაქში მხოლოდ 22%. აქედაგანა სჩანს, რომ ერობაში უფრო ნაკლებ სარგებლობენ თავისს უფლებით ამრჩევლები, ვიდრე ქალაქებში.

რამდენად აწინდელი საერობო არჩევნები ცარიელს ფიქციას წარმოადგენს, ეს შემდეგის მაგალითიდგან სჩანს:

მალოვგის მაზრის საერობო გამგეობა აცხადებს, რომ პირველს საარჩევნო კრებაზედ უნდა აერჩიათ 13 ხმოსანი, მაგრამ კრებას დაესწრო მხოლოდ 6 კაცი, რომელთაგანაც ყველანი იქმნენ „არჩეულნი“; დანიშნა დამატებითი არჩევნები, რომელსაც დაესწრო მარტო 3 კაცი.

ასეა ბევრგან; ამისი მიზეზია საერობო წესწყობილება. საერობო კრებებმა არა ერთხელ ითხოვეს ეხლანდელის საარჩევნო სისტემის შეცვლა, ითხოვეს ცენზის შემცირება, ამრჩევლების გათანასწორება გლეხებს უფლებათა გაფართოვება და თავად-აზნაურობის გაბატონების შეზღუდვა და სხ., მაგრამ...

უცხოეთი

ინგლისი. კარგა ხანია ხმა დადის ინგლისში, რომ დღევანდელი პრემიერი სალისბიური თანამდებობას თავს ანებებსო. ეხლა ამ ხმას „St.—Iames Garette“-ც ამოწმებს. გაზეთი აცხადებს, რომ მოხუცი მარკიზი თანამდებობიდგან ამ სესსიის დამთავრებისას გადადგება, თუ მანამდე ომს ბოლო მოეღო, თუ არა და დარჩება მინისტრ-პრეზიდენტად იმ დრომდე, ვიდრე ომი დამთავრდებაო. ინგლისის ოფიციოზის ამ შენიშვნის გამო „Patrie“-ს ლონდელი კორესპონდენტი სწერს, რომ კაბინეტის წევრთა შორის უთანხმოებაა. იმავე კორესპონდენტის სიტყვით, უთანხმოება თვით მეფისა და მინისტრებს შორის არის. „ოფიციოზური გაზეთი, სწერს იგი, სრულს სიმართლეს არ გადმოგვცემს; შეიძლება სალისბიურიმ კიდეც სთხოვა მეფეს თანამდებობიდგან გადადგომა, მაგრამ მეფემ არ შეიწყნარა ეს თხოვნა. ინგლისის პოლიტიკურ კლუბებში იმასაც ამბობენ, რომ ჰოლანდიის მთავრობამ სამხრეთ-აფრიკის საქმეების გამო ინგლისს სალისბიურის თანხმობით მიჰმართაო. მინისტრ-პრეზიდენტს იმედი ჰქონდა, რომ ჰოლანდიის მთავრობის ჩარევის შემდეგ ზავი დადებული იქმნებოდა. ამბობენ, ამის გამო სალისბიურსა და ჩემბერლენს შეტაკებაც-კი მოუვიდათ: სალისბიურიმ ვითომ ჩემბერლენს უსაყვედურა, მძიმე პირობებს უდებ ბურებსაო და ზავის ჩამოგდებას შეუძლებელ ჰყოფსო“. ყოველს შემთხვევაში, ზემოხსენებულ კორესპონდენტის სიტყვით, თუ სალისბიური სამსახურიდგან გადადგა, ამ გადადგომის მიზეზი ავადმყოფობა არ იქმნება, როგორც გაზეთები სწერენ.

— ცნობილს ინგლისელ რომანისტს კონან-დოილს, რომელიც სამხრეთ-აფრიკის ჯარში მსახურებდა, გამოუცია წიგნი ამ სათაურით: „ტრანსვაალის ომის მიზეზნი“. წიგნაკში რომანისტი სცდილობს დაამტკიცოს, რომ სამხრეთ-აფრიკის ომში ინგლისი დამნაშავე არ არის, რომ ინგლისის შესახებ ევროპის ჟურნალ-გაზეთობა ათასს ჭორსა და ცრუ ამბავს ავრცელებს და რომ ინგლისს დღესაც არ გადაუხვევია დიად ჰუმანიურ პრინციპებისათვის. კონან-დოილს აზრადა აქვს თურმე ეს წიგნი ევროპიულ ენებზედ გადასთარგმნოს და გამოსცეს. ფრანგულად უკვე გადაუთარგმნიათ და 10,000 ცალი მალე გასასყიდად გაიგზავნება პარიჟში.

— საზოგადოებათა პალატამ მეორე კითხვის დროს, 249 ხმის უმეტესობით 124 ხმის წინააღმდეგ, შეიწყნარა ბილლი, რომლითაც ქვრივს ნება ეძლევა შეირთოს თავის გარდაცვალებულ ცოლის და. ამბობენ, ლორდთა პალატას, რომელსაც მალე გადაეცემა განსახილველად, უარ-ჰყოფს ამ ბილსაო.

სამხრეთ-აფრიკის ომი. თვით ინგლისურივე გაზეთები გადმოგვცემენ, რომ მარტო ორანჟეს რესპუბლიკაში მებრძოლ ბურთა რიცხვი ამ ჟამად 4,400 კაცამდე ადისო. თუ ორანჟეს რესპუბლიკაში ამდენია, აშკარაა, ტრანსვაალში, სადაც მთავარ-სარდალი ბოტაა, ორჯელ მეტი ჯარი იქმნება. მაშასადამე, სამხედრო მინისტრის ბროდრიკის სიტყვები, რომელმაც პარლამენტში საჯაროდ განაცხადა, ბურებს სულ 6,000 მეომარი ჰყავთო, ტყუილი გამოდგა. ამ ამბავმა ძალიან დაალონა როგორც სამინისტროს მომხრენი, ისე მოწინააღმდეგენი. ყველანი ერთხმად გაიძახიან, მთავრობა თავისას არ იშლის და სამხრეთ-აფრიკის საქმეების შესახებ ტყუილებითა გვკვებავსო.

გერმანია. საყურადღებო ცნობებს გადმოგვცემს ერთი გაზეთი იმ პოლონურ ჟურნალ-გაზეთების შესახებ, რომელნიც პრუსიაში იბეჭდება. პოლონურ პრესას პრუსიაში სახალხო გამოცემათა ხასიათი ჰქონია, რადგანაც ჟურნალ-გაზეთების მკითხველები უმთავრესად გლეხნი და მუშანი ყოფილან. პრუსიის სხვა-და-სხვა პროვინციაში პოლონელებს აქეთ: 1) პოზნანიაში—13 დროებითი გამოცემა; აქედგან 9 ყოველ-დღიური გამოცემაა, 2—ყოველ-კვირეული და ორიც კვირაში სამჯერ გამოდის; სულ ამ გაზეთებსა და ჟურნალებს 95 ათასი ხელის მომწერი ჰყოლიათ. 2) აღმოსავლეთ და დასავლეთ პრუსიაში—5 გაზეთი, აქედგან 2 ყოველ-დღიურია; ხელის-მომწერი 50 ათასი ჰყოლიათ. 3) სილეზიაში—5 გაზეთი, ყოველ-დღიური ერთია; 40 ათასი ხელის მომწერი ჰყოლია. 4) ბერლინსა და ვესტფალიაში—2 გაზეთი, 6 ათასი ხელის მომწერი. ამ რიგად პოლონელებს პრუსიაში სულ 25 ჟურნალ-გაზეთი ჰქონიათ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ერთს გამოცემას სამი-ოთხი კაცი კითხულობს, რადგანაც ხშირად გაზეთს ორი-სამი ოჯახი ერთად იწერს, პრუსიაში პოლონურ გაზეთებს 600—800 ათასამდე სული კითხულობს.

ესპანია. მუშათა აღელვება სამრეწველო ქალაქებში თან-და-თან ძლიერდება, თუმცა ოფიციალური გაზეთები აცხადებენ, რომ ეხლა ყველგან მშვიდობიანობააო. ფრანგულ გაზეთების სიტყვით, ბარცელონაში მუშებს სამი მიტინგი მოუხდენიათ. სამივეზე ერთხმად დაუდგენიათ, განვაგრძოთ გაფიცვაო. ერთ მიტინგზედ; რომელზედაც კალატოზნი შეკრებილან, ერთს ორატორს ურჩევია დამსწრეთათვის სახლის ქირას ნულარ გადაიხდით; ის ფული, რაც სახლის პატრონთ იკუთვნით, გაფიცულთა კასსაში შეიტანეთო. მეორე ორატორს გამოუცხადებია, ერთად-ერთი საშუალება ქარხნის პატრონთა დასამარცხებლად! „განუწყვეტელი გაფიცვააო“. შემდგარა განსაკუთრებული კომისია, რომელიც ქუჩა-ქუჩა დადის და ფულსა ჰკრეფავს თურმე გაფიცულთა სასარგებლოდ.

გ ა ს ა რ თ ო ბ ი

რითმები.

ჰე, მეტის მეტი
გულადი, ცეტი,
სწორე, ვით კეტი,
მწყრების სპასპეტი.
მოდის ახმახი,
დინჯი, ვით შახი,
ხელში მათრახი
თავზე ფაფახი.
ზორბათა მსმელი,
ნაბიჯი ნელი...
მხრებზე შინელი,
ვაჰ, საშინელი!
მთელი ქონება,
ჭკუა-გონება,
გრძნობა და ნება
კუჭს ემონება...
დედულ-მამული
მთლად ჩაყლაპული,
ჯიბეში ნული,
„პადვალში“—სული...
სოფელში სძინავს,
ქალაქში ჰფრინავს,
ჰფიცხობს და ბღვინავს,
სჭექავს და ჰგრგვინავს!..
მკლავით მაგარი,
ჩხუბში მედგარი,
საქმეში მჩვარი,
ნეტა, ვინ არი?!

კოტე მაყაში.

კარაპეტა კბილის ექიმთან.

(სცენა)

— რა გნებავთ?

— დოხტურჯან, შენი ღმერთების ჰირიმე, შენი აფთიაქების ჰირიმე, მადლმა ქენ და სიკეთემ მიყავი...

— რა იყო, რა დაგემართათ?

— კბილი ილაჯი წაიღო, ძველმა ვექსილმა გახდა რაღა...

— მოითმინე, პირში გამოსავლებს მოგცემ.

— აპრის [1]), გენაცვა, აბა შენ იცი...

(ექიმს პირში გამოსავლები წამალი გამოაქვს).

— აბა, პირში გამოივლე.

— გმადლობ, შენი ჰირიმე, გმადლობ.... (გამოივლებს).

— ერთხელ კიდევ გამოივლე.

— შნორაკალიმ [2]), დოხტურჯან, რათა სწუხდები (გამოივლებს).

— ერთიც.

— ვაა, მეყოფა, დოხტურჯან (გამოივლებს)!

— აბა, ეხლა როგორა გაქვს?

— რა?

— კბილი.

— კბილმა?

---

[1] აპრის—იცოცხლე.
[2] შნორაკალიმ—გმადლობ.

ლიტუდა ამ ზვირთისა დიდია. ხოლო გონიერების ზვირთი გრძელია, ნელად მტოკავი და ამპლიტუდა მისი მცირეა...

როგორც ვხედავთ, მგრძნობელობის განუყრელი თვისებაა ჰმუნვა. ამავე მგრძნობელობის ნიშნობლივ თვისებას შეადგენს აგრეთვე თავ-დავიწყებაც. გრ. ორბელიანი გვასწავლის, რომ „სიყვარული არს თავის დავიწყებაო [5]).“ თავის დავიწყებას-კი ბევრ რიგად, ბევრ ნაირად მიაღწევს ხოლმე კაცი. სხვა-და-სხვა გვარი თავის დავიწყების ჩამოთვლა ახლა ჩვენთვის საჭირო არ არის. აქ აღვნიშნავ მხოლოდ ერთგვარ თავდავიწყებას, რომელსაც ასე ხშირად მიმართავს ხოლმე ის, ვისიც გული ტრფობის ალით არის აოხრებული. მე მოგახსენებთ ლოთობას, მთვრალობას, რადგან, როგორც ალ. ჭავჭავაძე გვიდასტურებს, „ლხინნი არიან კბილის მრთელებელნი“ [6]).

მთელ დედა-მიწის ზურგზე ერთად-ერთი ცხოველი ადამიანია, რომელიც მათრობელ სასმელსა სვამს და მით დროებით თავდავიწყებას ეძლევა. სვამს ყოველი ადამიანი, ყოველი ხალხი, სადაც უნდა სცხოვრობდეს იგი, განაქება სიცხიან ადგილებში, გინდ ყინვით დახურულ მიდამოებში, ეკვატორზე, გინდ პოლუსზედ. სვამს, მთვრალობს-კი ადამიანი იმიტომ, რომ უბედურია. დღეს ეტნოგრაფიულმა სოციოლოგიამ გადაჭრით დაგვიმტკიცა, რომ მთვრალობა', ლოთობას უფრო ძლიერ ეტანება ველური და ბარბაროსი ხალხი. რამდენადაც მცირეა განათლება ადამიანისა, რამდენადაც განუვითარებელია საზოგადოება და მოუწყობელია მისი საქმენი, მით უფრო უბედურია ადამიანი, მით უფრო მისდევს ლოთობას. კულტურისა და ცივილიზაციის ზრდასთან ერთად, საზოგადოებაში წესიერება, რიგი იკიდებს ფეხს, ადამიანური ურთიერთობა ვითარდება. ამიტომ ადამიანის პირადი თუ საზოგადოებრივი ცხოვრებაც უმჯობესდება, ფაქიზდება. ადამიანსაც ებადება განმაკეთილშობილებელი ფიქრი, სურვილი და მისწრაფება. ამიტომ იგი თვის ხან-მოკლე სიცოცხლეს ყოველ ამას ანდომებს და ლოთობას აღარას უწილადებს. ამიტომ ასეთ საზოგადოებაში ლოთობა და მთვრალობაც ძალზე კლებულობს. აქ ჰავას, გეოგრაფიულს მდებარეობას ადგილისას სრულებით მცირე მნიშვნელობა და გავლენა აქვს. ამ გარემოების შედეგია ის დამტკიცებული ფაქტი, რომ გერმანელი უფრო მთვრალობს, ვიდრე ფრანგი ან იტალიელი, რუსი კიდევ უფრო მეტად, ვიდრე გერმანელი. მაგრამ ხშირად ისე მოხდება ხოლმე, რომ სხვისაგან დაპყრობილი და დამონებული ხალხი, ერიც, რომელსაც ძალზე შეავიწროებს გარეშე მომქმედი ძალი, განადგურებას მიეცემა ხოლმე და გადაგვარების გზას დაადგება. ასეთი ერიც მთელის თვისის არსებით უბედურია. ამიტომ ყოველი დამონებული ერი, რა მაღალ საფეხურზედაც უნდა მდგარიყოს დაპყრობის ჟამს, შემდეგ მაინც ლოთობას მიჰყობს ხელს, მთვრალობას იწყებს. სწორედ ამ კანონის ბრალია, რომ ევროპაში სხვა არავინ არის ისე მემთვრალე და ლოთობის მიმდევარი, როგორც ირლანდიელი და პოლონელი. ჩვენშიაც პოლოს დროს ლოთობა ფეხს იკიდებს და ვრცელდება...

მაშ ასე. ლოთობა უბედურებისა და კერძო თუ საზოგადოებრივის ცხოვრების მოუწყობლობის შედეგია, მით გამოწვეულია. ამიტომაც ლოთობა, მათრობელის სასმელის სმა, ჩაღლევა მგრძნობელობასთან განუყრელია, რადგან მგრძნობელობა, ტრფიალება ადამიანს განუწყვეტლივ როდი აკმაყოფილებს, ჰმუნვას ჰგვრის, რომელიც არ აჩენს გარედ ნიშანსა, შიგნით-კი გულს მეტად აოხრებს [7]). ამ აოხრებულ გულის სანუგეშოდ და დაუკმაყოფილებელ ტრფობის დასავიწყებლად ადამიანიც, ამით უბედური, ჩაღლევს ხოლმე და მაშინ არის, რომ იგი შემოსძახებს ალ. ჭავჭავაძის „ლოთებო, ნეტავი ჩვენა!“-ს

აი, ასე სრულის სიმართლით, ასე მწყობრად აქვს ალ. ჭავჭავაძეს აღწერილი და ნაჩვენები ყოველი მომენტი ეშხისა, ყოველი ელემენტი ტრფობისა. მერმე ისეთის ძლიერებით და გარეგანის მშვენიერებითა აქვს აღწერილი, რომ ბადალი არ მოეპოვება. და აქ სჩანს სწორედ მისი დიდი ნიჭიც, მისი ძლიერი მგრძნობელობაც და ამითვე განიზომება მისი მნიშვნელობაც ქართულს მწერლობაში. მაგრამ სწორედ ეს მნიშვნელობა არა სწამს ზოგს ჩვენს სეკტანტს, რომლის თვალში ფასი მწყობრად, თან-და-თან გატარებულს და განვითარებულს აზრსა და გრძნობას-კი არა აქვს, არამედ აგერ-ეგერ ამონაგლეჯ ფრაზებსა და ძალად შეხანხლულს გრძნობას. მაგრამ ამ გვარ სეკტანტთა „კბილთ ღრჭენა“ საზიანო არავისათვის იქნება: შეიძლება ვინმე გაეტაცეინოს ამათ ცალ-მხრივ აზრს, მაგრამ უმრავლესობა ყოველთვის ადრე თუ გვიან სიმართლის გზას დაადგება ხოლმე.

ი ფანცხავა.

---

[5] ib. გვ. 27.
[6] იხ. ლექსები ალ. ჭავჭავაძისა გვ. 59.
[7] იხ. ლექსები გრ. ორბელიანისა გვ. 10.

— ჰო, კბილი.

— ვისმა კბილმა?

— ვისმა და შენმა! კიდევა გტკივა?!.

— ჩემმა კბილმა?!. ჰოოო!.. არა, დოხტურჯან, ხათრიჯამად იყავ, ისეთმა კბილებმა მაქვს, რკინას მოვუქირო, ღეჭვას უზამ. ჰამა, ჩემი მგთალა მთელმა ღამემ სულ ძაღლსავით ღმუილმა, მოსვენება არ მიქნია, იმისთვის მოვედი....

ახ...

პირველი და უკანასკნელი.

(ჩვენს მომავალ ვარსკვლავებს)

ერთხელ უსაქმოდ ვიყავი,
ვსთქვი, მოდი დავსწერ ლექსსაო!
ავიღე რაღაც იგავი,
მინდოდა გამელექსაო.
დავჯექ, ვიფიქრე, ვიზმორე,
კალამსაც ვსტაცე ხელიო,
ვჯღაბე და ბევრიც ვასწორე...
რითმას-კი... ახლაც ველიო!
აღარ მისინჯავს მას აქეთ
ჩემი მგოსნური ნიჭიო...
არ ვვარგებულვარ მოლექსედ
დავრწმუნდი არ მაქვს იჭვიო!
ამ ლექსს არა ვსთვლი მე ლექსად
და არცა ვიქებ თავსაო...
ხანდისხან, მოგეხსენებათ,
ბრიყვიც-კი იტყვის აზრსაო!

ნ. ხ—ლი.

მოთხრობის „ეკატერინე ჩიჩუა“-ს ავტორის შესახებ.

გუშინწინდელს ჩემს შენიშვნას („ივერია“ № 25) კიდევ ორიოდე სიტყვა უნდა დავუმატო.

ცნობანი ეკატერინე ჩიჩუას შესახებ დაწერილია შვენიერის ენით და საქართველოს ყოფა-მდგომარეობის კარგად მცოდნესაგან. და ამგვარი კაცი-კი იმ ხანს, როდესაც დაწერილია თავგადასავალი გურიის სამთავრო სახლობისა, მაშინდელ დროს იყო მხოლოდ განსვენებული დიმიტრი ყიფიანი და თითო-ოროლა სხვა. რადგან ჩვენს საყვარელს აკაკის სცოდნია, რომ ეს მოკლე და კოხტა მოთხრობა დიმიტრი ყიფიანის ნაწერია, ჩვენც დიადამც უნდა დავერწმუნოთ-და ამის დამტკიცება შეიძლება თვით ხელ-ნაწერების ხელის შემოწმებითაც განსვენებულ დიმიტრი ყიფიანის ხელ-ნაწერთან. ყოველს შემთხვევაში, მე მგონია, რომ დედანი უნდა იყოს წ. კ. საზოგადოების რუსულ ხელ-ნაწერი № 226 და მისგან უნდა გადადებულ იყოს დანარჩენი ვარიანტები, ქართული და რუსული. იმედი გვაქვს, განსვენებულის შვილი კონსტანტინე დიმიტრის-ძე გასინჯავს ყველა ვარიანტებს და ამ მხრივაც მტკიცე ჰყოფს აკაკის ჩვენებას.

წ. კ. ს. ხელ-ნაწერს (№ 226) აქვს შემდეგი შენიშვნა:

„Статьѣ этой послужили основаніемъ:

1) Имѣющееся въ архивѣ канцеляріи Главноначальствуюшаго Грузіею дѣло о бумагахъ Маміи Гуріели, значущееся по описи подъ № 99.

2) Дѣло, находившееся въ производствѣ той-же канцеляріи, о болѣзни княгини Екат. Чичуа и о слѣдующемъ ей пенсіонѣ, подъ числомъ 1-го авг. 1839 г.

3) Дѣло того-же архива о смерти владѣтеля Гуріи и объ учрежденіи тамъ послѣ него совѣта.

4) Исторія военныхъ дѣйствій въ Азіатской Турціи въ 1828—1829 г.

5) Личныя свѣдѣнія, которыя имѣетъ авторъ этой статьи по дѣламъ управленія Имеретіею о происшествіяхъ въ Гуріи.

6) Изустный разсказъ очевидца-свидѣтеля приключеній кн. Екатерины Чичуа, дворянина Іессея Долидзе, который находился при ней все время въ бытность ея въ Турціи и который послѣдовалъ затѣмъ за ней и въ Петербургъ“.

მოთხრობა ეკატ. ჩიჩუას შესახებ დაიბეჭდა „ნოვოე ობოზრენიეში“ არა სრულად, გარნა ყველა ზემორე მოყვანილ წყაროების ჩვენებით.

მ. ჯანაშვილი

წერილები რედაქციის მიმართ.

I

მარი ბროსეს წერილი.

ბ-ნო რედაქტორო, საჭიროდ მიმაჩნია მარი ბროსეს შესახებ მოგახსენოთ შემდეგი ცნობა, რომელსაც უეჭველია თავისებური ღირსება უფრო აუმაღლდება.

მარი ბროსე, მხოლოდ წერილების მიწერ-მოწერით, მე გავიცან 1878 წ., მინამდე-კი მისი სახელი და ცხოვრების ცნობები მხოლოდ მისის ნაწარმოების საშუალებით ვიცოდი. ხსენებულ წელს-კი ჩვენ მიწერ-მოწერა დავიწყეთ. ტფილისიდამ სხვა-და-სხვა ისტორიულს წიგნებს ვუგზავნიდი, რასაკვირველია, იმ წიგნებს, რასაც იგი მოითხოვდა. მ. ბროსე იბარებდა თითქმის ყველა ქართულ წიგნს, წიგნაკებს, თვით მცირე ფურცლებსაც. ჟურნალ-გაზეთებისა ხომ არაფერი გამორჩებოდა.

1879 წ. მივსწერე ერთი ვრცელი წერილი, რომლითაც ავნუსხე მისი დაუფასებელი შრომანი, ჩვენთვის განსაცვიფრებელნი და სამაგალითონი. საპასუხოდ მივიღე მ. ბროსესაგან წერილი, რომელიც სიტყვა-სიტყვით და შეუცვლელად მომყავს.

„მოწყალეო ხელმწიფევ! აგერ მეექვსე კვირაა, რაც ძალიან ავად გავხდი და ლოგინში ვწოლდი ახლა მადლობა ღვთისა ცოტა-ცოტა მოვრჩები. შინაგან გაცხელება იყო.

ამავე კვირის წინ მომიგია გაგზავნილი თქვენგან წიგნები, რომელთათვის გმადლობდ. გთხოვთ ხელ ახლა ფოჩტით გამამიგზავნოთ „ვაი ჭკუსაგან“ ნათარგმნი წინა მეღვართვისა და „ბუტიაობა“ აკაკი წერეთლისა. გარდა ამისა, ერთი ეგზემპლიარი „Кавказскій календарь на 1879 г.“ ფასის დანიშვნითა, რომ მივიღებ ეს წიგნები, მეორეს ფოჩტით შემდეგ ფულს გიგზავნით.

ქართველები ჩემს ღირსებას მეტად აფასებენ ჩემგან ნაშრომებს მათის მწერლობისათვის, რომელთაგან სიამოვნებას გარდა მიმიღია დიდი ბედნიერება. მახსოვს დრო ესე, როდის ჩემნი მემამულენი გიჟად მწოდებდენ, ვითომ ქართული მწერლობა არა ღირს არაფრისა. მადლობა ღვთის წყალობით წინადმდეგის დამტკიცება.

აქვე დამიწერია—გადმოწერილი ჩემგან მეათე საუკუნის ხელნაწერიდამ „ქება ქართულის ენისა“— რომელიც, თუმცა ცოტა ბნელია რამდენიმე ადგილებში, მაინც სიძველე ღირსებას აძლევს მას.

ჩემის სურათისა მიქნია რაც გსურდა, მეცა მოწადინე ვარ მიღებისა ქართველ მწერლებისა: ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, რჩეულოვის, ს. მესხის და სხვათა და სხ.

აქვე იშოვნით საზოგადო კათალოგი ადგილისაგან და ჩემგან საკუთრად, გვერდს 30 გ-და შემდეგად ყოველთა ჩემგან დაბეჭდილთა სტატიებისა ამ ორმოცდა ორი წელიწადებში. მასუკან უნდა ვსთხოვთ ჩვენის სეკრეთრისაგან გაგზავნილი სხვა-და-სხვა ჩვენთა კატალოგებითა. და ვეცდები მოვაგროვო რაც დარჩება ექსემპლიარები, ერთ-ერთი, ამავე სტატიებისა, დროითი, თუ მოვრჩები სურვილი თქვენი აღსრულდება.

სხვებრ დავრჩები თქვენი პატივისმცემელი

მ. ი. ბროსე.

ს. პ. ბ. მარტის 15-სა.

1879 წ.

სამწუხაროდ, მ. ბროსეს წერილებისა ბევრი აღარა შემრჩა-რა. სულ სამი წერილი-ღა მაქვს. ერთ წერილში აწერილია ქება ქართულის ენისა. ამასაც შემდეგ მოგართმევთ, თუ სურვილი გექმნებათ.

ფ. ჭ.

II

ბ-ნო რედაქტორო!

კვირას, 27 იანვარს, აქაურს რკინის თეატრში დრამატიულ სცენის მოყვარეთ, ბ-ნ ავალოვის მეთაურობით, წარმოადგინეს „ქართველი დედა“. ნეტარება იმათ, ვინც რომ ამ წარმოდგენას არ დასწრებია და ჩვენ, ვინც დავესწარით, ვიტყვით, რომ, ეს წარმოდგენა-კი არ იყო—წარმოდგენის ტანჯვა-წვალება იყო. ამაზედ უნიჭოდ თამაში ვგონებ, რომ არ შეიძლებოდეს. ძრიელ კარგი იქნებოდა, რომ დრამატიულ საზოგადოებას ნება ჰქონოდა და ამათთანა სცენის მოყვარეთათვის აეკრძალა ხოლმე დრამების წარმოდგენა და მით დაეხსნა პიესები შეურაცხყოფისაგან.

ბ. ფირალოვი.

III

ბ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გამოვუცხადო ჩვენს პატივცემულს პედაგოგს ბ. იაკობ სიმონის ძეს გოგებაშვილს ჩემი უგულითადესი მადლობა, რომელმაც კეთილ-ინება და შემოსწირა ჩემის პროგიმნაზიის ბიბლიოთეკას 71 ცალი თავის გამოცემულ წიგნებისა.

გარდა ნივთიერ შემოწირულებისა, ბ. ი. ს. გოგებაშვილის ყურადღება ჩემის პროგიმნაზიისადმი მით უფრო სასიამოვნო და ზნეობრივად გამამხნევებელია ჩემთვის, რომ ჩვენში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ კერძო პირის ინიციატივა გამხნევებას არ არის დაჩვეული.

ელენე ბახტაძე.

24 იანვარი 1902.
დ. ხონი.

დეპეშა

31 იანვარი.

ვარშავა. საიმპერატორო მატარებლით აქ მოვიდა ერც-ჰერცოგი ავსტრიისა და ვენაში წავიდა.

ვარშავა. კოველში ვარშავიდგან მომავალი მატარებელი დაეჯახა მეორე მატარებელს, რომელიც 40 ვაგონისა და ორთქლ-მავლისაგან შესდგებოდა. ხუთი კაცი დაშავდა, ყველანი საფოსტო მატარებლის მოსამსახურენი არიან. მგზავრთაგან არავინ დაშავებულა.

ბიისკი. ჰფიქრობენ, რომ საქმე კარმანის ოჯახის წევრთა მკვლელობის შესახებ, რომელიც სოფელ გუაგანალოვეში მოხდა, სამხედრო სასამართლოს გადაეცემა. მოკლულია 14 კაცი, გადარჩა ერთი ბავშვი. მკვლელი ექვსია და ექვსივე დაპატიმრებულნი არიან.

სარატოვი. ლოთობის საწინააღმდეგო საგუბერნიო კომიტეტისათვის გადადებულ იქმნა 55,000 მანეთი, აქედგან 20,000 აზრადა აქვთ სახალხო თეატრის განახლებას მოახმარონ.

პეტროზავოდსკი. შემოდგომაზედ ლოდეინოპოლის მაზრაში დაარსებულ იქმნება დაბალი სატყეო სასწავლებელი, პირველი მთელს გუბერნიაში.

ტვერი. გოგოლის გარდაცვალებიდგან 50 წლის შესრულების სახსოვრად ქალაქის საბჭომ დაადგინა ერთს სასწავლებელს მწერლის სახელი დაარქვას, დასდგას იქ გოგოლის ქანდაკება, დაურიგოს იმ მოსწავლეებს, რომელნიც სწავლას ამთავრებენ, საუკეთესო თხზულებანი გოგოლისა და დააარსოს სტიპენდია ერთ-ერთ უმაღლესს სასწავლებელში.

ტოკიო. მინისტრ-პრეზიდენტის იმ განცხადებაში, რომელიც ინგლისთან შეთანხმებას შეეხება, ნათქვამია, რომ ეს შეთანხმება სამშვიდობო განზრახვით არის დადებული. ამ ამბავს ხანგრძლივის ტაშის-ცემით მიეგებნენ.

პეკინი. ინგლის-იაპონიის ხელშეკრულება ეუწყა ზოგიერთ უცხო ქვეყნელ დიპლომატებს, აგრეთვე პრინცს ცინს.

ლონდონი. გარეშე საქმეთა სამინისტრო იუწყება, რომ ინგლისსა და იაპონიას შორის 17 იანვარს ლონდონში დადებულ და გარეშე საქმეთა მინისტრის ლანსდოუნისა და ლონდონში მყოფ იაპონიის ელჩის გაიაშის მიერ ხელმოწერილ იქმნა შეთანხმება, რომელიც შეიცავს შესავალს და ექვს მუხლს. შეთანხმებაში ნათქვამია: „ორივე მთავრობა, იმ სურვილით გატაცებული, რომ დაიცვან status quo და საერთო მშვიდობიანობა შორეულ აღმოსავლეთში, აგრეთვე დაიცვან დამოუკიდებლობა და ხელ-უხლებლობა ჩინეთისა და კორეისა, შეთანხმდნენ შემდეგ საქმეების გამო: 1) მიიღონ ზომები თავიანთ ინტერესების დასაცველად, თუ ამ ინტერესებს განსაცდელი მოელის რომელისამე სხვა სახელმწიფოს მოქმედებისა ან არეულობისაგან ჩინეთსა და კორეაში; ამის გამო ერთ-ერთი შეთანხმებულ სახელმწიფოთაგანი იძულებული იქნება ჩაერიოს საქმეში თავის ქვეშევრდომთა დასაცველად; 2) თუ ერთ-ერთ შეთანხმებულ სახელმწიფოს ომი მოუხდა სხვა რომელსამე სახელმწიფოსთან, მეორე დაიცავს სასტიკს ნეიტრალიტეტს და ეცდება, რომ ხელი შეუშალოს სხვა სახელმწიფოს, რომელიც მოკავშირეს წინააღმდეგ სამტრო მოქმედებაში მონაწილეობის მიღებას განიზრახავს; 3) თუ რომელიმე სახელმწიფო შეუერთდება სამტრო მოქმედებას ერთ-ერთი მოკავშირეს წინააღმდეგ მეორე უნდა მიეშველოს და იმასთან ერთად ომში მონაწილეობა მიიღოს; ზავი ერთმანეთ შორის შეთანხმებით უნდა დაიდოს; 4) მოკავშირე სახელმწიფონი მორიგდნენ, რომ არც ერთმა მათგანმა მეორის უცოდინრად კერძო ხელშეკრულობა არ დასდოს რომელსამე სხვა სახელმწიფოსთან დასახელებულ ინტერესების საზარალოდ; 5) თუ დასახელებულ ინტერესებს განსაცდელი მოელის, ორისავე სახელმწიფოს მთავრობებმა ერთმანეთს არაფერი უნდა დაუმალონ და ყველაფერი აცნობონ და 6) ხელშეკრულობა ძალაში შევა დაუყოვნებლივ და ძალა ექმნება ხუთის წლის განმავლობაში! თუ ვადის გასვლისას რომელსამე მოკავშირეს ომი ექმნება, ხელშეკრულობას ძალა ზავის ჩამოგდებამდე აქვს.“

ლონდონი. ლორდ ლანსდოუნი ტოკიოში მყოფ ინგლისის ელჩის სახელობაზედ გაგზავნილ დეპეშაში იაპონიასთან დადებულ ხელშეკრულობის შესახებ შემდეგს ამბობს: „ინგლისის მთავრობა ამ ხელშეკრულობის დადების დროს ხელმძღვანელობდა უმთავრესად იმ რწმენით, რომ ხელშეკრულობაში არ არის ისეთი დადგენილებანი, რომელთაც საგნად აგრესიული ან ეგოისტური განზრახვანი ჰქონდეს. ხელშეკრულობას აზრად სიფთხილე აქვს, რომლის მიღებაც საჭიროა იმ შემთხვევისათვის, თუ გარემოებამ მოითხოვა ინგლისის ინტერესების დაცვა. ხელშეკრულობა არაფერს საშიშოს არ უქადის დღევანდელ საქმის ვითარებას, ან სხვა სახელმწიფოთა ინტერესებს; პირ-იქით ერთ ნაწილს ხელშეკრულობისას, რომლის ძალითაც ერთ მხარეს შეუძლიან დახმარება მოსთხოვოს მეორეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში ექმნება ძალა, თუ ერთ-ერთი მოკავშირე იძულებული გახდა ომი დაიწყოს ორისავე სახელმწიფოს ინტერესების დასაცველად, აგრეთვე თუ დამტკიცდა, რომ იგი ომის მოსურნე არ იყო და იმის მოკავშირეს, რომელიც იძულებული შეიქნა ომი დაეწყო თავის დასაცველად, განსაცდელი ერთის სახელმწიფოსაგან-კი არა, სახელმწიფოთა მთელის ჯგუფისაგან მოელის“.

იოკოგამა. მინისტრ-პრეზიდენტმა წარუდგინა პარლამენტს ხელშეკრულობა ინგლისთან კავშირის შესახებ, რომელსაც აზრად ჩინეთისა და კორეის ხელუხლებლობისა და აღმოსავლეთ აზიაში მშვიდობიანობის უზრუნველ-ყოფა აქვს.

ცარიცინი. ხორბლეულისა, ფქვილისა და ხორცის ფასი ძალიან დაეცა.

პეტროვსკი (დაღესტნისა). ზღვაში შეცურდა ყინული, რომელზედაც 14 კაცი იყო. „კავკასიისა და მერკურის“ საზოგადოებამ გემი გაჰგზავნა იმათ მოსაძებნად.

1 თებერვალი

პეტერბურგი. საერთო-განათლების სამინისტრო აცხადებს, რომ ამა მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდგან 25-მდე (ახალის სტილი) ნიუ-იორკში მოხდება ამერიკანისტთა საერთაშორისო კონგრესი. ცნობისათვის მსურველს შეუძლიან მიჰმართოს M. H. Saville-ს.

31 იანვარ გარდაიცვალა ევგენი ივანეს ძე ლამანსკი.

კალიში. რუსთა ადგილობრივი საზოგადოება, გუბერნატორის მეცადინეობით, იდღესასწაულებს 50 წლის თავს გოგოლის გარდაცვალებიდგან. გადახდილ იქმნება პანაშვიდი და გაიმართება სალიტერატურო და დრამატიული საღამო.

დონის როსტოვი. დანიშნული საქალო სკოლის მასწავლებელ ქალთა და კაცთა კრება გოგოლის და ჟუკოვის ხსოვნის დღესასწაულობის შესახებ მოსალაპარაკებლად.

ასტრახანი. იმათ მოსაძებნად, რომელნიც ყინულმა ზღვაში შეიტანა, პეტროვსკა, ბაქოსა და კრასნოვოდსკიდგან გემები იქმნა გაგზავნილი.

ბაქო. გუბერნიის გამგემ მიიღო ოფიციალურად დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ 31 იანვარს, პირველის ნახევარზედ, ძლიერი, არა ჩვეულებრივი მიწის-ძვრა მოხდა შემახაში. ნახევარი ქალაქია დაქცეული. კაცებიც დაიღუპნენ. ბაზარს ცეცხლი უკიდია. გუბერნიის გამგე შემახაში წავიდა.

ბაქო. დღეს, ნაშუადღევის პირველ საათზე, მიწა ძლიერ იძროდა. ზოგიერთ სახლებში ფანჯრის შუშები დამტვრია. მიწა 50 წამს იძროდა.

ბერლინი. ლონდონიდგან მიღებულ კერძო ცნობებით. გერმანიამ მონაწილეობა მიიღო ინგლის-იაპონიის ხელ-შეკრულების მოლაპარაკებაში და უზრუნველ ჰყო თავისი ინტერესები კერძო შეთანხმებით. „Berl. N. Nachrichten“-ი-კი ამბობს, რომ ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია: გერმანიისთვის არავის უცნობებია ხელშეკრულების დადებაზედ მოლაპარაკებამდე. კერძო შეთანხმებას ზედაც არ ყოფილა ლაპარაკი.

ბაქო. 31 იანვარი. მიწის-ძვრისაგან თითქმის მთელი შემახა დაიღუპა; დაწვრილებითი ცნობები ჯერ არ არის.—დეპეშა მოვიდა, რომ ასტარში მიწის-ძვრა იყო.—საღამოთი ბაქოში კიდევ იძრა ძლიერ მიწა.

განჯა. 31 იანვარს მიწა იძრა ზოგიერთ სახლებში კედლები დასკდა. ბევრ სახლიდგან ხალხი ქუჩებში გავარდა. ხუთის წუთი შემდეგ მეორედ იძრა მიწა.

კიევი, რვა საარჩევნო კრებამ 58 საბჭოს ხმოსანი აარჩია.

პეტერბურგის ბირჟა, 22 იანვარს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,95
ბერლინში მარკაში 100	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,60
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,62½
ბირჟის დისკონტი	5—7%
4% სახელმწიფო რენტა	96⅛ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა.	94½ გაყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	472½ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	379 ½ მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	287 გაყიდ. (?)
4½% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა	
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	88¾ წვ. გაყ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89¼ გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	
აქციები „	9,800 წვ. გაყ.
„ კასპიის ამხანაგობისა	
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	165 წვ. გაყ.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით).

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 26 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 [illegible] ს. 44 (2) ს 42 წ.), ბორჯომში ჩადის [illegible] 6 ს. 40 (7) ს. 38 წ.)

ტფილისიდან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, სკვობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქ[ო]ში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 50 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამო 9 ს. 36 (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. ს. 10 წ.)

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58, 59 საღამოს 10 (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 23 (1 ს. 21 წ.).

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 45 წ. (11 ს. 43 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით ღამ 10 ს. 41 წ. (11 ს 39 წ.) ტფილისში ჩამოდის დღ 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს. ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 3 ს. 35 (4 ს. 33 წ.) ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 (9 ს. 48 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66 ღამის 1 ს. 50 (7 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60— 61 დილის 5 ს. 12 (5 ს., 10 წ. ტფილისში ჩამოდის დილის 6 47 წ. [7 ს. 45 წ.).

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნ მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გა მოცემული წიგნები:

ამოდის ნათდება, ვაჟა-ფშაველასი	15
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა	15
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	5
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	30
აბო ტფილელი, ე. კ.	30
Або Тифлисскій, Е. К.	5
ამბავი მადლის ქვისა	5
აკიდო საუმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ.	15
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი	1 მ. 50
ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი	40
ბენია	10
ბუნების სოცარი მოვლენანი, ს. ჯუღელისა	15
ბაში-აჩუკი, აკაკისა	30
ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილისა	1 მ. 30
გლეხი კაცის ისტორია, III—IV ტ.	1 მ. 20
გამზრდელი, აკაკისა	5
აგსართობი	10
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა	15
გუსტავ ვაზა	5
Грузинскій отрывокъ Калилы и димны, А. Хахановъ	60
გიორგი და მიხეილი	10
Древный Анчсхатскій соборъ Карбеловъ	20
დედა, ანდერსენისა	8
დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი	1 მ.
დაუჯდომელი წმ. ნინოსი	20
Двѣ святины въ Кахетіи, Е. К.	10
Давидъ Гареджели, Е. К.	15
ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა	15
ელენე, მოთხრობა	5
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвли	40
Въ Барсовой кожѣ, Мкинвари,	1 р.
ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ლისა.	3
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К.	30
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი	1 მ.
თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძისა	40
თამარ-დედოფლის სამკაული	10
თამარ დაზნელი, ან. ფურცელაძისა	50
ისტორია ქართულ სტამბისა	15
იანიჩარი, დ. ნახუცრიშვილისა	40
კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I-II ნაწ. ქუთათელაძისა	60
კოპერნიკიდან დარვინამდე	10
კანდელი, მ. ღლაშვილისა	5

მკურნალი

ნ. ფ. მულინი.

იღებს ყურით, ყელით და ცხვირით ავადმყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე და საღამოს 4—8-მდე. სუდებნ 18. (წლ.)

Дозвол. цензурою .Тифлисъ 1-го Января 1902 г. გაზეთ „ტფილისის ფურცლისა“ და ექვ. ხელაძის სტამბა ლორ.-მელ. ქუჩა. დროებითი რედაქტორი ა. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე